ბავშვის გატაცებაში ბრალდებულებს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს A2

მცირე მეწარმეებს „უბალახებლად წველიან„ A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 21 აგვისტო, 2003 წელი. №225 (437) | ფასი 30 თეთრი

# მეფე (პრეზიდენტი) შიშველია

## ანუ ფერისცვალება შევარდნაძისებურად

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე ბრძანა: "ევროსაბჭოს მოთხოვნა რომ არ ყოფილიყო, საქართველოში დახვრეტა, უმაღლესი ზომა სასჯელისა, არ უნდა გაუქმებულიყო." პოლიტოლოგების და იურისტების აზრით, ქვეყნის პრეზიდენტი თავს ვერ აკონტროლებს.*

ვერიკო თევზაძე

**"საქართველოში ხელისუფლების მაღალჩინოსნებს დემოკრატიული ფასეულობანი გათავისებული არ აქვთ, ხდება ამა თუ იმ კანონის და კონვენციის, უბრალოდ, დეკლარირება და შემდგომ, პრაქტიკულ ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე მათგან გადახვევა. პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება ამის თვალსაჩინო მაგალითია,** " – განუცხადა "24 საათს" იურისტმა დავით უსუფაშვილმა. უსუფაშვილის განმარტებით, ხელისუფლება ხშირად იძულებულია, დაიბრალოს დემოკრატობა იმ დახმარებების სანაცვლოდ, რომელსაც დასავლეთი გვთავაზობს.

**"შევარდნაძის განცხადება შეიძლება ორნაირად ავხსნათ,** - ასე ფიქრობს პოლიტოლოგი გია ნოდია, - **შევარდნაძე ვერ აკონტროლებს თავის გამოთქმებს და ამბობს იმას, რასაც ადრეც ფიქრობდა, მაგრამ არ ახმოვანებდა. მეორე მხრივ, შესაძლოა, სიკვდილით დასჯა წინასაარჩევნოდ პოპულარული მოთხოვნა იყოს და პრეზიდენტმა აქედან გამომდინარე გააკეთა მსგავსი განცხადება."**

პარლამენტარი და იურისტი რეზო ყიფიანი თურმე თავის დროზეც წინააღმდეგი იყო საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებისა. **"მაშინ იმას გაუწიეს ანგარიში, ამერიკა რას იტყვისო... თავად ამერიკამ ბევრ შტატში შეინარჩუნა სასჯელის ეს უმკაცრესი ზომა... მე ყოველთვის ვეთანხმებოდი პრეზიდენტ შევარდნაძეს, ახლაც ვეთანხმები და მომავალშიც დავეთანხმები."**

პარლამენტარი ელენე თევდორაძე გაოგნებულია პრეზიდენტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თავად ბრძანებს, შევარდნაძეს შინაგანად ყოველთვის კომუნისტად და ცეკას მდივნად თვლიდა: **"როდესაც იგი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით შემოვიდა, ძალიან გამიკვირდა, რადგან ეს მისთვის ჩვეული ნაბიჯი არ ყოფილა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ნიღაბს ატარებდა... მაშინ შევარდნაძეს დემოკრატის მანტია სჭირდებოდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მეორედ აირჩევდნენ პრეზიდენტად. ახლა, როცა უკვე შევარდნაძის მატარებელმა ჩაიარა, მისთვის სულ ერთია, საქართველოს ევროსაბჭოში შესვლა ეჭვქვეშ დადგება თუ არა. ამაზეა ნათქვამი: "მეფე შიშველია". მინდა გითხრათ, რომ ძალიან მაშინებს შევარდნაძის განცხადება. მე არ ვიცი, როგორი შემადგენლობისა იქნება მომავალი პარლამენტი. თუ ახალ საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტის გარემოცვა შეიკრიბა, შესაძლოა, მან სიკვდილით დასჯა აღადგინოს."**


REUTERS

*მაშინ მას დემოკრატის ნიღაბი უხდებოდა.*

შეგახსენებთ, რომ ვიდრე პრეზიდენტი ამგვარ განცხადებას გააკეთებდა, ერთი დღით ადრე, ფერისცვალების დღესასწაულზე, რომელსაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლის იუბილე დაემთხვა, პრეზიდენტმა ამ დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე განაცხადა – დავით აღმაშენებლის დარად, ჩვენც ახალ საქართველოს ვაფუძნებთო... გარდა ამისა, პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ბევრი ისაუბრა აღმშენებლობაზე, მიტევებაზე, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაუცხოების დაძლევაზე, ერთიანობაზე. რამდენიმე საათით ადრე კი სურამის ბავშვთა სახლში გამართულ შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ იქ მყოფი აუდიტორია დააიმედა - ეს დღე (19 აგვისტო) საქართველოს სასიკეთო ფერისცვალებას მოუტანსო...

# ბურჯანაძე და „დემოკრატები" საარჩევნო კამპანიის დასაწყებად ემზადებიან

ლელა მჭედლიძე

გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან საკონსულტაციოდ მისი აქტიური და შედარებით პასიური მხარდამჭერები იყვნენ. ნაკლებად აქტიურ მხარდამჭერთა შორის აღმოჩნდნენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები დავით უსუფაშვილი და თინათინ ხიდაშელი. მართალია, მათი განცხადებით, პარლამენტის თავმჯდომარის საარჩევნო სიაში ჩაწერას ისინი არ აპირებენ, მაგრამ იურიდიული ექსპერტების სახით ბურჯანაძეს მხარდაჭერას ჰპირდებიან.

დახურულ კარს მიღმა ჩატარებული შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ბურჯანაძის მხარდამჭერი ექსპერტები კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტულ მუშა ჯგუფებთან იმუშავებენ. ბურჯანაძე კვლავ აგრძელებს კონსულტაციებს მაჟორიტარ დეპუტატებთან, მაგრამ მის გაერთიანებაში ვიცე-სპიკერ მერაბ სამადაშვილის მიერ შექმნილი ორგანიზაციის "ძლიერი რეგიონები ძლიერი საქართველოსათვის" წარმომადგენლები ვერ აღმოჩნდებიან. **"ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დააფიქსირა,**

გაგრძელება A2 გვერდზე

# მოსალოდნელი ტაიფუნი, სახელწოდებით სეკვესტრი

გიორგი ასანიშვილი

გუშინ საქართველოს პარლამენტში 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შესატანი ცვლილებების განხილვა დაიწყო. ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა დეპუტატებს გააცნო მთავრობის "განზრახვათა გეგმა" იმის შესახებ, თუ რომელ დარგებს რა ოდენობით მოაკლდება დაფინანსება და რა გზებით აპირებს ხელისუფლება საბიუჯეტო "დანაკარგების" თუნდაც ნაწილობრივ შევსებას.

მინისტრი ასახელებს რამდენიმე წყაროს, რომლებმაც საბიუჯეტო შემოსავლები, დაახლოებით, 40 მილიონი ლარით უნდა გაზარდონ. ესენია: ახალი გადასახადების შემოღება და არსებული გადასახადების სატარიფო განაკვეთების გაზრდა, ადმინისტრირების გამკაცრება და ფინანსთა სამინისტროსთვის საგამოძიებო ფუნქციების მინიჭება (ფისკალურ სფეროში).

გუშინდელი განხილვა, ფაქტობრივად, სხდომათა ცარიელ დარბაზში წარიმართა და დიდ ვნებათაღელვაში არ გადაიზრდილა. ბიუჯეტის შეკვეცის მიმართ ასეთი ინდიფერენტულობა, ალბათ, სავარაუდოც იყო. სეკვესტრისადმი პოზიციის გამოხატვა (როგორც მხარდაჭერა, ისე ჩაგდება) ვერც ხელისუფლების დასაყრდენი ძალებისთვის და ვერც ოპოზიციისთვის პოლიტიკურად მომგებიანი ვერ იქნება: სეკვესტრის მხარდაჭერის შემთხვევაში,

გაგრძელება A3 გვერდზე

### ყველაზე რეიტინგული დანაშაული - გატაცება

სამართალდამცველთა ანალიზით, საქართველოში დღეს ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეობა ადამიანის გატაცებაა. ამის გამო, შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, პირველ რიგში, ადამიანის გამტაცებლებზე, სანქციების გამკაცრებას ითხოვს.

A2

### „ორმაგი აგენტების„ მმართველობა

ჩვენ გამუდმებით გვესმის და ვხედავთ ჩვენივე გადასახადებით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან ფულის უკანონოდ ხარჯვისა თუ მითვისების ფაქტებს. არც ის არის სიახლე, რომ სახელმწიფო სახსრების ჩაჯიბვის მოხერხებულ ილეთად საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვები იქცა.

A3

# ციმბირის ნოსტალგია

*პრეზიდენტმა, ლამის უკვე ტრადიციულად, მთავრობის ამ სხდომაზეც დაადასტურა, რომ საქართველოს მისი მეთაურობით ნატო-ში შესვლა სურს. მაგრამ ასეთი სურვილის მიუხედავად, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცეკას მდივანმა გუშინ უფრო მეტად ის დაამტკიცა, რომ ძველი დროის ნოსტალგია ტანჯავს.*

ლელა მჭედლიძე

**"ადრე 200-250 დამნაშავეს მაინც გზავნიდნენ ხოლმე ციმბირში. ახლა ყველა აქ იხდის სასჯელს, თანაც ისე, რომ არც სცივათ და არც სწყურიათ, მგონი, სხვაზე კარგადაც არიან. სასჯელმა საქრთველოში აზრი დაკარგა. იმიტომაც გახშირდა ასე დანაშაულები. ახლა, ევროსაბჭოს პრობლემა რომ არ ყოფილიყო, ალბათ, სიკვდილით დასჯის გაუქმება საქართველოში არ შეიძლებოდა... სხვადასხვა დანაშაულზე სასჯელის გამკაცრებაა საჭირო, მკაცრი კანონები. წინააღმდეგ შემთხვევაში, წესრიგი ვერ დამყარდება. ამდენს რომ ვლაპარაკობდით საქართველოში, რეგიონებში ტურიზმის აყვავებაზე, ახლა რა ხდება? მაგალითად, სვანეთში ამას წინათ გერმანელი ტურისტები ისე დააყაჩაღეს, გაატყავეს, რომ საქართველოს გაგონება აღარ უნდათ. ამ პრობლემას მიხედვა უნდა... თუ საჭირო გახდა, სვანეთში დესანტის გადასხმაც შეიძლება"...** პრეზიდენტის ასეთი გალიზიანების მიუხედავად, სვანეთში დესანტის გადასხმის სურვილი და შესაძლებლობა, ჟურნალისტებთან საუბრისას, როგორც შინაგან საქმეთა, ისე უშიშროების მინისტრებმა უარყვეს. თუმცა, სასჯელის გამკაცრების აუცილებლობას ყველა ძალოვანი მინისტრი ეთანხმებოდა - "სასჯელი, დანაშაულის ადეკვატური უნდა იყოს"... უფრო კონკრეტულად ამ საკითხზე ამ კვირაში უშიშროების საბჭოზე უნდა იმსჯელონ.

შევარდნაძის ზემოთ ნახსენები განცხადებები კობა ნარჩემაშვილის მოხსენებას მოჰყვა. შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე მეტად ნარჩემაშვილმა შექმნილ ოპერატიულ კრიმინალურ მდგომარეობაზე ისაუბრა. თუმცა, არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ჩატარებული ატესტაციის შედეგად, მის უწყებაში 300 თანამშრომლიდან 3 პიროვნება უნდა გათავისუფლდეს, 14 - დაწინაურდეს, 10 - ჩამოქვეითდეს და ა.შ. შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებული რეფორმით 2005 წლისთვის უკვე ჟანდარმერიაც ჩნდება, რომელსაც ტერორიზმთან ბრძოლა, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვა და სხვა მისია ეკისრება.

შეიძლება, პრეზიდენტის ასეთი გაცეცხლება მისი უგუნებობითაც აიხსნას. ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ შაშიაშვილის მოხსენებისას, პრეზიდენტმა ტელევიზიის ხელმძღვანელობა მოისაკლისა. ზაზა შენგელიას არყოფნა საპატიო მიზეზის (ავადმყოფობის ) გამო მისთვის საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა - ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფობა არ გამიგია, და თუ ეს ასეა, მაშინ მისი მოადგილე სადღააო...

გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტი რუსეთის თემასაც შეეხო. საუბარია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების დიდ სურვილზე. რადგან საქართველო ამ ორგანიზაციის

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხელისუფლება ხალხს ხიზილალასა და ქამარს შორის "არჩევანს" სთავაზობს

*ხელისუფლება მოსახლეობას მალე, ალბათ, ქამრებს დაურიგებს - თავისი მოუქნელი საგადასახადო პოლიტიკით, მთავრობა ხალხს სხვა არჩევანს არ უტოვებს, გარდა იმისა, რომ მან ეს "ქამრები" ან მაგრად შემოიჭიროს, ან მათგან ყულფები გააკეთოს და კისერზე ჩამოიცვას.*

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს გადასახადების გაზრდას მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა სახის ობიექტების მშენებლობისთვის, ბაზრების ორგანიზებისთვის, აგრეთვე, სათამაშო ბიზნესში დასაქმებულთათვის. **"რომ არა მძიმე საბიუჯეტო მდგომარეობა, მთავრობა პარლამენტში ასეთი პროექტით არ შემოვიდოდა,"** - დეპუტატებისთვის "შეთავაზებული" საგადასახადო ცვლილებების იძულებით ხასიათზე საუბრობს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი.

იგი არ მალავს, რომ გადასახადების გაზრდას აუცილებლად მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია და მობილურ ტელეფონებზე აქციზური გადასახადების დაწესება

გაგრძელება A3 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | |
| ბათუმი | 30 | |
| ქუთაისი | 33 | |
| სოხუმი | 30 | |
| გორი | 33 | |
| ცხინვალი | 29 | |
| თელავი | 29 | |
| ბოლნისი | 33 | |
| ონი | 29 | |
| ფასანაური | 26 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

# იერუსალიმის ტერაქტი: სამშვიდობო პროცესის დასასრული თუ დასაწყისი

ლევან ღირსიაშვილი

**"ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტერაქტი პალესტინური ინტიფადას მანძილზე"** – ასეთი შეფასება მიეცა იერუსალიმში სამშაბათს, გვიან საღამოთი მომხდარ აფეთქებას, რომლის შედეგადაც ცხრამეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასზე მეტი - დაიჭრა. ბევრი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება და მსხვერპლის გაზრდა გამორიცხული არ არის. დაღუპულთა შორის ბავშვებიც არიან.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა სასწრაფოდ მოიწვია მთავრობის წევრთა საგანგებო თათბირი, რის შემდეგ პირველი კონტრნაბიჯებიც გადაიდგა.

გაგრძელება A5 გვერდზე


REUTERS

*მორიგმა ტერორისტმა 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.*

# როგოზინმა ამომრჩევლისა და რეაქციული წრეების გული მოიგო

*"როგოზინის პოზიცია სერიოზულ გავლენას ახდენს პუტინზე, მაგრამ ეს მხოლოდ რიტორიკაა," - ასეთი კომენტარი გაუკეთა "როსიისკაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ დმიტრი როგოზინის სტატიას რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვიაჩესლავ იგრუნოვმა. შეგახსენებთ: როგოზინმა პუტინს მოუწოდა, რუსი სამხედროებისთვის საქართველოში მოქმედების სრული თავისუფლება მიენიჭებინა, თვით პანკისის ხეობის დაბომბვაზე გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ როგოზინი ამ შემთხვევაშიც რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების იდეების გამხმოვანებელია?**

- ერთი რამ დანამდვილებით ვიცი - როგოზინი იმდენად სერიოზული ფიგურაა დღევანდელი კრემლისთვის, რომ მისი პოზიცია რუსეთის პრეზიდენტზე სერიოზულ გავლენას ახდენს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ როგოზინის სერიოზული მუქარა მხოლოდ წინასაარჩევნო რიტორიკაა. ასეთი რიტორიკა კი მხოლოდ ნეგატიურ რეაქციას იწვევს. როგოზინი ხომ საქართველოს ხელისუფლების თავგადაკლული ოპონენტია.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რატომ გამოქვეყნდა ასეთი ანალიტიკა იმ დროს, როცა მოსკოვის პოლიტიკური წრეები**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# როგოზინმა ამომრჩევლისა და რეაქციული წრეების გული მოიგო



ვიაჩესლავ იგრუნოვი

პირველი გვერდიდან

**უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოსთან პოლიტიკური ამინდის დათბობის გამო?**

- რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეებისათვის როგოზინის გამოსვლა დაკავშირებულია ძლიერი პიროვნების ხატის შექმნასთან, საკუთარი ამომრჩევლის და იმ სამსხურების თვალში, ვის წინაშეც იგი ანგარიშვალდებულია. მისი სტატია საქართველოზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენისათვისაა გამიზნული. წესით, საქართველოში აშშ-ს ელჩის გამოსვლის შემდეგ, რომლის მიხედვითაც აშშ აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გაყვანის წინააღმდეგია, რუსეთი მკაცრი განცხადებების უფლებას თავს აღარ უნდა აძლევდეს. დღეს საქართველოს მიმართ მაქსიმალური სიფრთხილეა გამოსაჩენი, რადგანაც სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ ურთიერთობის მხოლოდ იუველირული მექანიზმებია დასაძებნი. მე არ ვარ მომხრე ნეგატიური დამოკიდებულებისა. არ ვმალავ, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა რუსეთისადმი არაადეკვატურად იქცევა და მაქსიმალისტური შეფასებებით რუსოფობიის პროვოცირებას ახდენს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ანგელოზები, რუსეთიც არაადეკვატურია.

**- შეგიძლიათ განმარტოთ, რატომ არიან დარწმუნებულნი დღეს რუსეთის პარლამენტში, რომ როგოზინის "საპროგრამო გამოსვლას" აუცილებლად მოჰყვება კონკრეტული ქმედებები რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან?**

- მე მათ კატეგორიულად არ ვეთანხმები, იმიტომ რომ, დღეს მოსკოვის მხრიდან საქართველოში შეიარაღებული ლაშქრობა ან სხვა რამ სერიოზული ნაბიჯები ობიექტურად გამორიცხულია. დღეს რუსეთი დაინტერესებულია საქართველოსთან მხოლოდ ნორმალური ეკონომიკური თანამშრომლობით, სატრანსპორტო დერეფნის ორგანიზებით, რაც პირველ რიგში, მას თავის ერთგულ სტრატეგიულ პარტნიორ სომხეთთან დააკავშირებს. ასეთი მოვლენების მსვლელობის ობიექტურ პროცესს კი მსგავსი პუბლიკაციები მხოლოდ ხელს უშლიან.

მოკლედ

## დევნილები ყარყარაშვილს ენდობიან

გუშინ, დილით აფხაზეთიდან ლტოლვილთა 15 ოჯახის წევრი ქალი "თბილმეტრომშენის" N1 საგვირაბო რაზმის ადმინისტრაციულ შენობაში შეიჭრა და ამავე რაზმის გენერალური დირექტორი თენგიზ დოხნაძე 7 საათის განმავლობაში მძევლად ჰყავდა აყვანილი. მათთან მოლაპარაკება ოთხ საათს გრძელდებოდა. შენობაში შეჭრილ დევნილებს "თბილმეტრომშენის" ხელმძღვანელობამ კომპრომისის სხვადასხვა ვარიანტი შესთავაზა, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ.

სიტუაცია გია ყარყარაშვილმა შეცვალა, რომელსაც დევნილები ენდნენ და "თბილმეტრომშენის" პირველი საგვირაბო სამმართველოს შენობა დატოვეს. გია ყარყარაშვილმა მათთან ცალკე კონსულტაციები გამართა და შენობიდან გასვლის აუცილებლობაში დაარწმუნა.

ყარყარაშვილის მტკიცებით, მათთვის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაში მონაწილეობას მერია და სხვა სტრუქტურები მიიღებენ. მისი თქმით, ის პირები, ვისთვისაც დევნილთა სამინისტროს არ აქვს ფართი გამოყოფილი აუცილებლად დაკმაყოფილდებიან. ყარყარაშვილმა პირობა დადო დევნილების წინაშე, რომ ორი კვირის ვადაში ბინებით მათი უზრუნველყოფისთვის ის ყველაფერს გააკეთებს.

"თბილმეტრომშენის" ხელმძღვანელობამ დევნილთა ნაწილს ბინა მშენებარე დაუმთავრებელი საცხოვრებელი ფართის ხარჯზე შესთავაზა.

როგორც ამ შეხვედრის დასასრულს გაირკვა, ლტოლვილების ბინით დაკმაყოფილებაში "მეტრომშენის" გენერალური დირექტორი რობიზონ გვეტაძეც მიიღებს მონაწილეობას.

დღეს ლტოლვილები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობაში 14.00 საათზე შეიკრიბებიან. დღევანდელი აქციის მონაწილე დევნილთა 15 ოჯახის შეხვედრა მინისტრთა საბჭოს კაბინეტში - ლონდერ ცაავასთან შედგება. **ინტერ-პრესი**

## სოხუმში ორიოლის ოლქის წარმომადგენლობა გაიხსნა

აფხაზეთსა და რუსეთის რეგიონებს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, გუშინ სოხუმში ორიოლის ოლქის წარმომადგენლობა გაიხსნა.

სოხუმის მერის, ლეონიდ ლოლუას განმარტებით, სოხუმში ორიოლის ოლქის წარმომადგენლობის გახსნა სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტისა და თავად ლოლუას ორიოლში ოფიციალური ვიზიტისას გადაწყდა.

სოხუმის მერის მტკიცებით, სოხუმში ორიოლის ოლქის წარმომადგენლობის გახსნა ორიოლის ოლქისა და აფხაზეთის სამრეწველო პოტენციალის ბაზაზე ერთობლივი საწარმოების ამოქმედებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ხელს შეუწყობს.

ლოლუა დარწმუნებულია, რომ ორიოლის ოლქის მსგავსად, აფხაზეთის საწარმოო პოტენციალითა და საკურორტო ინფრასტრუქტურით რუსეთის სხვა რეგიონებიც დაინტერესედებიან, რაც ხელს შეუწყობს რუსეთსა და აფხაზეთს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკას კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებისა და გაღრმავების შესახებ ხელშეკრულებები დადებული აქვს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიისა ვოლგისპირეთის თითქმის ყველა რესპუბლიკასთან. 1996 წლიდან აფხაზეთი რუსეთის სამხრეთ კავკასიის რეგიონების ეკონომიკური გაერთიანების ასოცირებული წევრია. ამჟამად, გაერთიანებაში აფხაზეთის სრულფასოვანი გაწევრიანების საკითხი პრეზიდენტ არძინბასა და პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ აშუბას მიმართვების საფუძველზე განიხილება. **ინტერ-პრესი**

## თბილისი სიმართლის დაზუსტებას მოსკოვში ცდილობს

საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვს მიმართა, რათა გაარკვიოს, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს აფხაზეთში საჰაერო სივრცის შესაძლო გახსნის შესახებ გავრცელებული ცნობები.

განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მალხაზ კაკაბაძის განცხადებით, აღნიშნული საკითხი განიხილება მოსკოვში საქართველოს ელჩის ზურაბ აბაშიძის შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ალექსანდრე ლოშჩინინთან.

"აფხაზურ მხარეს საჰაერო მიმოსვლის აღდგენა სურს, რომელიც 1992-93 წლებში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს შეწყდა," - ამბობს კაკაბაძე და დასძენს, რომ საქართველომ მკაფიოდ უნდა გაარკვიოს რუსეთის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. "კვლავ ისე არ უნდა მოხდეს, როგორც აქამდე ხდებოდა: ყველა ვალდებულებებისა და ნორმების დარღვევით ჯერ სოხუმსა და სოჭს შორის მატარებელმა დაიწყო მოძრაობა, შემდეგ კი კატარღამ. და ეს ყველაფერი კერძო კომპანიების ინტერესებს ბრალდებოდა." **პრაიმ-ნიუსი**

# ბურჯანაძე და „დემოკრატები„ საარჩევნო კამპანიის დასაწყებად ემზადებიან

პირველი გვერდიდან

**რომ სახელისუფლებო კურსის მხარდამჭერნი იქნებიან. როცა ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ხელისუფლების შესანარჩუნებლად იბრძვის, მისი მხარდამჭერი ვერ ვიქნები. მართალია, ფორმით რადიკალურ ოპოზიციას არ წარმოვადგენ, მაგრამ შინაარსით ამგვარი ვარ... როგორც ირკვევა, სახელისუფლებო ფრთის წარმომადგენლები საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებით უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ახლა სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებებისა."**



ბესო გულაშვილის ფოტო

ნინო ბურჯანაძის გუნდი უკვე საარჩევნო კამპანიის სტრატეგიაზე მუშაობს.

გუშინვე საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს ბურჯანაძესთან ორსაათიანი საუბარი ჰქონდა. ბურჯანაძე აცხადებს: ეუთო კატეგორიულად წინააღმდეგია ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წარმოდგენისა, თუ საარჩევნო კომისიის შემადგენლობა მთლიანად არ შეიცვალა. შეგახსენებთ, იურიდიულად ამგვარი ვალდებულება არც არსებობს, რადგან ოპოზიციის დიდი მცდელობის მიუხედავად, საამისოდ საჭირო ცვლილება საარჩევნო კოდექსში მაინც ვერ შევიდა.

ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია დღეს ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ, რომელზეც, ალბათ, ახლადშექმნილი ბლოკის საარჩევნო კამპანიის დაწყებაზე ისაუბრებენ. საარჩევნო კამპანია ხვალ საქართველოს რეგიონებიდან დაიწყება.

# ბავშვის გატაცებაში ბრალდებულებს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს

*15 წლის ბექა მუმლაძის გატაცებაში სამი დღის წინ დაკავებული ხუთი ეჭვმიტანილი, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკნიდან ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაძლიერებული დაცვით მიიყვანეს. მართლმსაჯულება რამდენიმე საათის განმავლობაში გატაცებაში ბრალდებულთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე მსჯელობდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ ხუთი ბრალდებულიდან ოთხს გუშინ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბექა მუმლაძის გატაცების ორგანიზატორობაში ბრალდებული, მარნეულის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, რამდენიმე დღის წინ კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნული მერაბ შუბითიძე, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი კოტე ჭანტურია (სხვათა შორის, ეს ის ექიმი ჭანტურია გახლავთ, რომლის თანამდებობაც რამდენიმე წლის წინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გათხრილ დიდ გვირაბს შეეწირა. ქობალია-აბსანძემ იქაურობა სწორედ ამ გვირაბით დატოვეს, თუმცა მოგვიანებით, სასამართლომ ექიმი ჭანტურია გაამართლა), ადრე გაუპატიურების ბრალდებით გასამართლებული თემურ საჯაია და არმაზ შენგელია, გუშინ გაძლიერებული დაცვითვე მეხუთე იზოლატორში გადაიყვანეს. რაც შეეხება მეხუთე ეჭვმიტანილს, რუსლან კაკულიას, ის გუშინ მოსამართლემ გაათავისუფლა. სხვათა შორის, რუსლან კაკულია ის პიროვნება გახლავთ, რომელზეც სამართალდამცველებმა დაკავების დღესვე განაცხადეს – ბექა მუმლაძის გატაცებასთან კავშირი ჯერჯერობით არ დასტურდებაო.

**"დაკავებულ პირთა ბრალეულობის დამადასტურებლად ის უტყუარი მტკიცებულებები საკმარისია, რაც მოვიპოვეთ და რაც გაგვაჩნია",** - ასეთი იყო გატაცებაში ეჭვმიტანილთა დაკავების დღესვე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. საუბარია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, მერაბ შუბითიძის სამუშაო კაბინეტში ჩხრეკისას ამოღებულ წინასწარ დანომრილ ფულზე, რომელიც 16 წლის განმავლობაში სამართალდამცველ სისტემაში მაღალ თანამდებობებზე მომუშავე მერაბ შუბითიძეს გატაცებული ბავშვის ოჯახის წევრებმა კაბინეტში მიართვეს. მისსავე კაბინეტში აღმოჩნდა არასატაბელო იარაღი, ხელყუმბარები და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა. შეგახსენებთ, რომ მძევლის გათავისუფლებაში მუმლაძეებმა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ახლადდანიშნულ მოადგილეს 70 ათასი დოლარი გადაუხადეს. სამართალდამცველებმა მის კაბინეტში ამ თანხის მხოლოდ ნაწილი - 16 ათასი დოლარი იპოვეს. 800 დოლარი მარნეულის რაიონის კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს შარვლის ჯიბეში ჰქონდა, დანარჩენს კი სეიფში ინახავდა. როგორც ჩანს, გატაცებაში მონაწილე სამი პიროვნებისთვის გადასაცემი თანხა მას უკვე გადანაწილებული ჰქონდა. მოგვიანებით სამართალდამცველებმა გატაცებაში ეჭვმიტანილი დანარჩენი სამი დაკავებულის საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად სწორედ პოლიციის მიერ დანომრილი ფული იპოვეს.

უტყუარ მტკიცებულებებში კობა ნარჩემაშვილი დაკავებულთაგან ამოღებულ სხვადასხვა ტიპის იარაღთან, ხელყუმბარებს, საბრძოლო მასალასა და დანომრილ ფულთან ერთად, იმ ჯაჭვსაც გულისხმობდა, რომლითაც გამტაცებლებს ბექა მუმლაძე რადიატორზე ჰყავდათ მიბმული. გარდა ამისა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, აღიარებითი ჩვენებებიც არსებობს. დაკავებულთაგან ერთ-ერთი, რომელსაც გამოძიება არ აკონკრეტებს დეტალებში აღწერს, როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ბექა მუმლაძის გატაცება.

ერთი სიტყვით, გუშინ სასამართლომ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები მართლაც უტყუარად და საკმარისად ჩათვალა და 15 წლის ბავშვის გატაცების ბრალდებით სასამართლოში მიყვანილი ხუთი ბრალდებულიდან ოთხი ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში გაამწესა.

გამოიკვეთება თუ არა ბექა მუმლაძის საქმის გამოძიებისას გუშინ მეხუთე იზოლატორში შეყვანილი ოთხი ბრალდებულის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულები, წინასწარ ძნელი სათქმელია. საქმის გამოძიებამ, წესით, ბევრ რამეს უნდა ახადოს ფარდა.

მიუხედავად გამოძიების მტკიცებისა, რომ მარნეულის კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსსა და რამდენიმე თვის წინ იარაღის უკანონოდ ვაჭრობის ბრალდებით მარნეულში დაკავებულ ბექა მუმლაძის მამას შორის დანაშაულებრივი კავშირი ჯერჯერობით არ იკვეთება, ამ ორ დანაშაულს შორის არსებული გარკვეული კავშირის შესახებ არაოფიციალურად უკვე სხვადასხვაგვარი ვერსია ვრცელდება. რა ჩვენებებს მისცემენ გამოძიებას დაკავებულები, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

# ყველაზე რეიტინგული დანაშაული - გატაცება

*სამართალდამცველთა ანალიზით საქართველოში დღეს ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეობა ადამიანის გატაცებაა. ამის გამო შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, პირველ რიგში, ადამიანის გამტაცებლებზე, სანქციების გამკაცრებას ითხოვს. კანონდამცველებმა ადამიანის გატაცების კატასტროფული გახშირების გამო კრიმინალის ამ სახეობის დეტალური ანალიზი გააკეთეს.*

ბექა სისაური
ქუთაისი

ანალიზი გაკეთდა იმერეთის სამხარეო სამართალდამცველების მიერ და საკმაოდ სქელტანიანი დასკვნა გენერალურ პროკურორს ჩაბარდა. ყველა სხვა რეგიონის მსგავსად ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანის გატაცების შემთხვევებმა იმერეთშიც საგრძნობლად იმატა. თვე არ გავა, რომ მხარეში ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცება არ მოხდეს. ამის გამო, იუმორით გამორჩეული იმერლები უკვე ხუმრობენ კიდეც: თუკი რომელიმე მეგობარს რამდენიმე დღით ვერ ნახავენ, გამოსასყიდ თანხას უგროვებენ და მისი გამოჩენის შემდეგ შეგროვებული გამოსასყიდით ლხინს მართავენ.

2002 წელს იმერეთის მხარეში თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ოთხი ფაქტია გამოვლენილი. 2003 წლის პირველ ნახევარში კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა ექვსს მიაღწია. ამ სახის დანაშაული იმდენად გავრცელებულია, რომ სამტრედიელი ქალბატონი შორენა ონიანი 1000 დოლარისთვისაც კი გაიტაცეს.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, მხარეში იმერეთის სამართალდამცველების საკოორდინაციო ორგანო შეიქმნა, რომელსაც სამხარეო პროკურორი თამაზ ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. შექმნილ საგანგაშო ვითარებასთან დაკავშირებით, პროკურატურამ ბოლო ათი წლის სტატისტიკა გააანალიზა და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სახის დანაშაული 1993-1997 წლებში ძალზე გავრცელებული იყო. ადამიანის გატაცებებმა პიკს 1997 წელს მიაღწია, მაშინ ფულის გამოძალვის მიზნით 11 ადამიანი იყო დატყვევებული. 1997 წლიდან 2002 წლამდე ასეთი სახის დანაშაული კრიმინალური სტატისტიკიდან საერთოდ გაქრა. როგორც აღმოჩნდა, ადამიანთა გატაცებაში ბრალდებულთა თითქმის 90 პროცენტი ამ პერიოდში საპატიმრო ადგილებში იხდიდა სასჯელს. სამართალდამცველთა დასკვნით, სწორედ ამიტომაც, გატაცებები 4 წლით შეჩერდა. 2002 წლიდან ადამიანის გატაცებაში კვალიფიციური კრიმინალები სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა ჰუმანური აქტებით ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ და მას შემდეგ ქვეყანაში ადამიანის გატაცებათა ახალი ტალღა დაიწყო. იმერეთის საოლქო პროკურატურაში აცხადებენ, რომ შარშან და წელს ადამიანის გატაცებებს სწორედ საპატიმროდან ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირები ორგანიზატორობდნენ.

თუმცა, ქუთაისის საპყრობილეში მყოფი ცნობილი კრიმინალი გიგა ბალავაძე, გათავისუფლებას არც დაელოდა და 2001 წლის 3 ნოემბერს სატუსაღოში ორგანიზება გაუკეთა გამტაცებელთა ჯგუფს, რომლებსაც ჯერ ხონის პოლიციის უფროსის შვილი დავით ხუროძე გაატაცებინა, შემდეგ კი შს სამინისტროს მაღალჩინოსნის ვლადიმერ კვაჭანტირაძის შვილი. აღნიშნული ფაქტების შემდეგ ბალავაძემ ციხიდან ტელეფონის საშუალებით კიდევ რამდენიმე გატაცების ორგანიზება მოახერხა.

ერთ-ერთი ბოლო დანაშაული მან კოლონიაშივე ჩაიდინა - პატიმართან სანახავად მისული ცოლ-შვილი გაატაცებინა. შემდეგ კი, ფულის გამოძალვის მიზნით საკუთარი ადვოკატიც დაატყვევა.

გატაცების სხვა ფაქტებშიც დაახლოებით იგივე მეორდება.

რაც შეეხება დანაშაულის აღკვეთას, სამართალდამცველებს ამ მხრივ მეტად სავალალოდ აქვთ საქმე.

**"გაანალიზებისას აშკარა გახდა, რომ დამნაშავეებს ხელს უწყობს პოლიციის სამსახურების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელების და ამავე დაწესებულებათა კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის პროკურორების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების უპასუხისმგებლო და არაჯეროვანი შესრულება, ზოგჯერ კი - საერთოდ შეუსრულებლობა. პოლიციის მიერ დამნაშავეთა გაკონტროლება არ ხდება,"** - ნათქვამია დასკვნაში. აღნიშნულის დასამტკიცებლად პროკურატურას შესაბამისი ფაქტებიც მოჰყავს: გიორგი სარდანაძის გატაცების შემთხვევაში გამოყენებულია სამი გატაცებული ავტომობილი, რომელთაგან ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენამდე 3 თვით ადრე იყო მოპარული. იგივე ავტომობილი ფიგურირებს ერთი თვით ადრე მამამისის გატაცების მცდელობისას, რაც იმის დასტურია, რომ გატაცებული ავტომობილებით დამნაშავეები რეგულარულად გადაადგილდებოდნენ. ორი დღით ადრე მოპარული ავტომობილით გაიტაცეს ასევე ამირან ნაცვლიშვილიც. **"არც ერთ ამ ფაქტზე პოლიციის სამსახურებს რაიმე რეაგირება არ გაუკეთებია, თავის დროზე არც აღნიშნული ავტომანქანების გატაცება ყოფილა აღრიცხული,"** - აცხადებენ იმერეთის საოლქო პროკურატურაში.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა სავალდებულო რეკომენდაციები შეიმუშავეს და გენერალური პროკურორის საბოლოო დასკვნას ელოდებიან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკურ გაერთიანებებს "დათვსა" და "ერთობას" წინასაარჩევნოდ რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპი გააერთიანებს. "დათვის" ლიდერმა თემურ ხაჩიშვილმა მომავალი ბლოკის ხელმძღვანელად ჯუმბერ პატიაშვილი დაასახელა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხელისუფლების მხარდამჭერ ბლოკში - "ახალი საქართველოსთვის" შემავალი "სოციალისტური პარტიის" რეკომენდაციით, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს, ღირსების ორდენოსან ავთანდილ სულაბერიძეს დანიშნავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები აჩვენებს, თუ რომელი პარტიის ლიდერს რა შანსები ექნება 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იჩქერიის გენერალური წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი ჩვენს ქვეყანაში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებს 5 ოქტომბერს დანიშნულ ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი არ ადასტურებს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის შოთა სანდუხაძის განცხადებას დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ირაკლი გოგავა აცხადებს, რომ პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ერთმანეთის კონკურენტები არიან 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე და ეს გარემოებები მათ სხვა რეალობის წინაშე აყენებს, რაც ერთმანეთის მეტოქეობაში გამოიხატება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას და იუსტიციის ყოფილი მინისტრის პაატა დავითაიას რეკომენდაციებით, აფხაზეთის იუსტიციის მინისტრად 25 წლის ვლადიმერ ნადარეიშვილი დაინიშნა. ვლადიმერ ნადარეიშვილი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ვაჟიშვილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, შსს-ს თანამშრომლები ხელფასებს საკრედიტო ბარათებით მიიღებენ. მინისტრის რეკომენდაციით შემუშავებულია პოლიციის ეთიკის კოდექსი, რომელიც მალე მთავრობის სხდომას განსახილველად წარედგინება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა ბასილ მკალავიშვილის მრევლის დაკითხვა დაასრულა. დაკითხულია მრევლის 200 წევრი, ახლა კი საქმეს იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს. „ბასილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ დაიხურება. გლდანის ეპარქიის წინამძღვარზე კვლავ ძებნაა გამოცხადებული", — აცხადებს პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის უფროსი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული ატესტაციის შედეგად, სამი თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო ათი ჩამოქვეითების კანდიდატია.

კობა ნარჩემაშვილის თქმით, ატესტაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელი მონაწილეობდა. მათი პასუხები ჩაწერილია ვიდეოფირზე და, გაპროტესტების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ამ პასუხის მოსმენა შეუძლია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისელი კრიმინალის შოთა ჭიჭიაშვილის რუსეთიდან საქართველოში ექსტრადიციის ზუსტი დრო კვლავ უცნობია. უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსტრადიციის საკითხი მისი რუსეთში ვიზიტის დროს გადაწყდება, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების მიზნით, სასჯელის უმაღლესი ზომის, სიკვდილით დასჯის მუხლის შემოღებას კატეგორიულად გამორიცხავს და აცხადებს, რომ ამაზე არც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მიუნიშნებია. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დეპუტატი გიორგი ბარამიძე ხელისუფლებას, რუსეთის მიერ ქართული კავშირგაბმულობის ხელში ჩაგდების აღსაკვეთად, პრევენციული ზომების მიღებისაკენ მოუწოდებს. ბარამიძის მონაცემებით, რუსული "როსტელკომი", "საქართველოს ტელეკომის" აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის მიზნით, აქციების 30 პროცენტის მფლობელ ამერიკულ "მეტრომედიასთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი იმედოვნებს, რომ პარლამენტის სამთავრობო ფრაქციები მონდომებას არ დააკლებენ, რათა ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 2003 წლის კორექტირებული ბიუჯეტი და საგადასახადო კოდექსში ცვლილებები დაამტკიცოს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ორი საკითხის დამტკიცება ვერ მოხერხდება, მაშინ სავალუტო ფონდის ფინანსური პროგრამა ამ წლის ბოლომდე არ აღდგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვების შესავსებად 30 მლნ აშშ დოლარს ვერ მიიღებს. ამასთან, ქვეყანას საერთაშორისო ვალების მომსახურებისათვის 50 მლნ აშშ დოლარის გადახდა მოუწევს, რადგან პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაციისათვის შეთანხმება ვერ მოხერხდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ "საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია" და "საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული დაგეგმვის მეთოდიკა" დაამტკიცა. კონცეფცია და მეთოდიკა მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ არის მომზადებული. ინსტიტუტი აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, 2004 წლიდან ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შედგენაზე დაიწყებს მუშაობას. ამ პროგრამის რეალიზაციის ინსტრუმენტად ქვეყნის განვითარების ინდიკატორული გეგმა მოიაზრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გერმანიის მთავრობა საქართველოს 26 მილიონ ევროს გამოუყოფს. გუშინ, ფინანსთა სამინისტროში ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. აღნიშნული პროექტი საქართველოში რამდენიმე პროექტის დაფინანსებას ითვალისწინებს. კერძოდ, მიწის კადასტრისა და საჯარო რეესტრის პროექტისთვის 4 მლნ ევრო გამოიყოფა; სარეაბილიტაციო პროგრამა, ენერგოგანაწილება — 8 მლნ ევრო; სოციალური ინვესტიციების ფონდის მეორე პროექტი — 7.5 მლნ ევრო გრანტის სახით; ზერეგიონული პროგრამა, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა — მლნ ევრო; გამოკვლევათა და ექსპერტთა ფონდი — 1.5 მლნ ევრო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფიჭური კავშირის მომსახურებით საქართველოში 462,2 ათასი ადამიანი, ანუ ქვეყნის ყოველი მეცხრე მაცხოვრებელი სარგებლობს. ეს მონაცემი შარშანდელთან შედარებით, 29.3 პროცენტით არის გაზრდილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეკოდურ-ბიჯური ავტომატური სატელეფონო სადგური ცხინვალში 2004 წლის დასაწყისისათვის ციფრულით შეიცვლება, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** 21 ათასი მეტრი მაღალი ძაბვის სადენი გამოყო სომხეთის მთავრობამ ნინოწმინდის რაიონისთვის. როგორც სომხური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, სადენები სათხა-განძას მაღალი ძაბვის ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციოდ გამოიყენება. შედეგად, ფარავანის ტბის მახლობლად განლაგებული დასახლებული პუნქტების ელექტროენერგიით მომარაგება შესაძლებელი გახდება. შეგახსენებთ, რომ დღემდე აღნიშნული დასახლებული პუნქტები ელექტროენერგიას ქვემო ქართლის რეგიონიდან იღებდნენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო 10-14 სექტემბერს, მექსიკის ქალაქ კანკუნში დაგეგმილ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მინისტრთა მე-5 კონფერენციას დაესწრება, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლები სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე დაშვების საკითხს დააყენებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მუსიკალური სკოლა-ინტერნატი (ლოტკინის დასახლება) ახალ სასწავლო წელს ელექტროენერგიის გარეშე და გასარემონტებელი შენობით ხვდება.

ლოტკინის დასახლებაში დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დაბალი მაჩვენებელია, რის გამო ენერგოდეფიციტი სკოლა-ინტერნატზეც ვრცელდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თერჯოლა.** მდინარე ყვირილას ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. იმერეთის გარემოს დაცვის დეპარტამენტის თერჯოლის წარმომადგენლობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ რაიონში ეკოპოლიციის განყოფილება გაუქმდა და არსებული შტატი ქუთაისში გადაიტანეს. ადგილობრივების თქმით, თუ ეკოპოლიციის სამსახური თერჯოლაში კვლავ არ აღდგა, მდინარე ყვირილა ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების წინაშე დადგება. **ინტერ-პრესი**

# ციმბირის ნოსტალგია

პირველი გვერდიდან



ახლა მათ მოუწევთ საზოგადოებისთვის პრეზიდენტის გამონათქვამების "თარგმნა".

წევრია (მიუხედავად ზედიზედ სამი წლის განმავლობაში გადაუხდელი საწევროსი), ამიტომ მისი ხმაც ახალ წევრად რუსეთის მიღების მხრივ გარკვეულ როლს თამაშობს. ახალი წევრის მიღების თაობაზე თანხმობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრმა უნდა განაცხადოს. პრეზიდენტი ამ გარემოების საქართველოს სასარგებლოდ გამოყენების მომხრეა. საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ეს გარემოება საქართველოში არსებული კონფლიქტების სრულად გადაწყვეტას თუ არა, ამ მხრივ გარკვეული წინსვლისთვის მაინც გამოდგება. მენაღარიშვილის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, რუსეთს ახლა იმ პრეტენზიებზეც მოუწევს პასუხის გაცემა, რომელიც საქართველოს რუსეთისადმი აქვს და რაზეც რუსეთი ყურს იყრუებდა. კონკრეტულად, საბაჟო-გამშვები პუნქტების ცალკეულ მონაკვეთებზე რეჟიმის შემსუბუქების გამო უკანონო ტვირთების აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შემოდინების საერთოდ დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმის და კიდევ სხვა საკითხების გამო. სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის რუსეთთან კოზირად გამოყენების იდეა პარლამენტში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს ჰქონდათ. მაშინ ამ იდეის წინააღმდეგ, ყველაზე მეტად სახელისუფლებო ფლანგის წარმომადგენელი დეპუტატები გამოდიოდნენ...

# მოსალოდნელი ტაიფუნი, სახელწოდებით სექვესტრი

პირველი გვერდიდან

ძნელი და არაპოპულარული იქნება მოსახლეობისთვის იმის ახსნა (მითუმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში), თუ რატომ მიეცი ხმა სოციალური ხარჯების შემცირებას, ხოლო სექვესტრის მიუღებლობის შემთხვევაში, ქვეყანა დეფოლტის რეალური საშიშროების წინაშე დადგება, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება.

ამდენად, იმაში, რომ განხილვის პირველმა დღემ პარლამენტში მშვიდად ჩაიარა, ლოგიკა ნამდვილად არსებობს. გუშინ, ძირითადად, მაჟორიტარი დეპუტატები აქტიურობდნენ, რომლებიც განსაკუთრებულ დაინტერესებას სპეცტრანსფერების მიმართ ამჟღავნებდნენ. თუმცა, მირიან გოგიაშვილმა მათი "შემოტევის" მოგერიება შედარებით იოლად მოახერხა და "აბეზარი" პარლამენტარები "თავიდან იმით მოიშორა", რომ ტრანსფერების თემაზე საუბარს კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის დროს შეჰპირდა.

ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის სექვესტრის საკითხი პარლამენტში უხმაუროდ ჩაივლის. გუშინდელი დღე შეიძლება ერთგვარ მოთელვად ჩაითვალოს, სიტუაციის დაძაბვა კი დღეს არის მოსალოდნელი, რადგან ბიუჯეტის შეუსრულებლობის გამო, ოპოზიცია, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის ზოგიერთი წევრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს.

თუმცა, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. თავიანთი ფავორიტებისთვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გამორიცხული არ არის, სახელისუფლებო ფრაქციებმა მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართონ - სხდომაზე არ გამოცხადდნენ და კვორუმის არარსებობით სესიის მუშაობა ჩაშალონ.

# ხელისუფლება ხალხს ხიზილალასა და ქამარს შორის "არჩევანს" სთავაზობს

პირველი გვერდიდან



ბიუჯეტის სექვესტრისადმი პარლამენტმა ასეთი ინტერესი გამოამჟღავნა.

კავშირგაბმულობის სხვა სფეროებშიც ტარიფების გაზრდას გამოიწვევს. თუმცა, მინისტრის მოადგილე საზოგადოებას იმით "ამშვიდებს", რომ ნავარაუდევი საგადასახადო ცვლილებები სოციალურად დაუცველ ფენებს არ შეეხებათ და მათ არ დააზარალებს.

გადასახადების გაზრდის მოთხოვნის ფონზე გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ კანონპროექტის მიხედვით აქციზის გადასახადი უნდა შემცირდეს შემოტანილ... თართზე, ორაგულზე და ხიზილალაზე, აგრეთვე, ავტომობილების საბურავებზე.

**"თართი და ხიზილალა, რა, ღარიბების საჭმელია?"** - ხელისუფლების საგადასახადო კურსის გამო, თავად სამთავრობო ფრაქციების წარმომადგენლებიც ვერ მალავენ გაოცებას. მათთვისაც კი მეტად სასაცილოდ გამოიყურება განმარტებები, რომ თითქოს ხიზილალა შემოვლითი გზებით სახედრებით შემოაქვთ და მთავრობა ამ ბიზნესის გაკონტროლებას ვერ ახერხებს.

ლევან ჩრდილელის მიერ წარმოდგენილმა კანონპროექტმა უმრავლესობის წევრები ოპოზიციაზე არანაკლებ გააღიზიანა.

**"ვინ არის ის გენიოსი, ვინც გვთავაზობს, რომ არჩევნებამდე ორი თვით ადრე მოსახლეობას ცხოვრება გავუძვიროთ?"** - საგადასახადო ცვლილებების ინიციატორის ვინაობა აინტერესებს სოციალისტ ნუგზარ ნავაძეს, რომლის თქმითაც ის რომ ოპოზიციაში იყოს, შემოთავაზებულ საგადასახადო ცვლილებებს მხარს დაუჭერდა, რადგან მისი მიღება ხელისუფლებისადმი მოსახლეობის უკმაყოფილებას კიდევ უფრო გაზრდის.

**"ამ ცვლილებებით მთავრობა ყელს გამოიჭრის,"** - აფრთხილებს აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტარი კობა ამირხანაშვილი.

მთავრობის კრიტიკაში ოპოზიცია, ცხადია, სახელისუფლებო ფრაქციებზე უფრო შორს მიდის. მაგალითად, "აღორძინების" წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი როსტომ ჯაფარიძე გენერალური პროკურორისგან ითხოვს, რომ კანონპროექტის ავტორების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, რადგან **"საგადასახადო ცვლილებების პროექტი შეიცავს არაპირდაპირ მოწოდებას მოსახლეობისადმი, რომ ის ძალადობის გზას დაადგეს და ხელისუფლება დაამხოს."**

როდესაც ასეთ ყრუ კედელს წააწყდა და მიხვდა, რომ კანონპროექტის გასვლის შანსი თითქმის ნულის ტოლი იყო, აღმასრულებელი ხელისუფლება "მოლბა" და უკან დაიხია: მოგვიანებით ლევან ჩრდილელი იტყვის, რომ ის მზად არის, ზოგიერთ საკითხს (კერძოდ, მშენებლობისა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის დაბეგვრას) გადახედოს და პარლამენტართა შენიშვნები გაითვალისწინოს.

მიუხედავად ასეთი "დათმობებისა", მაინც ძალიან საეჭვოა, რომ კენჭისყრის დროს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას მხარი დაუჭიროს.

# მცირე მეწარმეებს „უბალახებლად წველიან"

*"გლეხმაც კი იცის, რომ ძროხა ჯერ უნდა აბალახოს და მერე მოწველოს. ჩვენ, მცირე მეწარმეებს კი – "უბალახებლად" გვწველიან", - საერთო და მთავარი გულისტკივილის გაცხადებით დაიწყო გუშინ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში გამართული მცირე მეწარმეთა მცირერიცხოვანი შეკრება ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბონდო ზარნაძემ. ხელისუფლების მისამართით გამოთქმულ უამრავ პრეტენზიას მთავრობიდან მხოლოდ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ანთელაძე ისმენდა, თუმცა მეწარმეებმა თავიანთი მოთხოვნები, სპეციალური მიმართვის სახით ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და სახელმწიფო მინისტრსაც გაუგზავნეს.*

გვანცა ქვინიკაძე

მცირე მეწარმეთა უმთავრესი პრეტენზია ბოლო დროს საგანგებო ლეგიონის მიერ ჩატარებული ე.წ. "ფისკალური რეიდების" წინააღმდეგ იყო მიმართული. ბონდო ზარნაძის თქმით, საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელის, ნუგზარ კახნიაურის მარშრუტზე დახურულ-გაუქმებული საწარმოები, მარკეტები და ბენზინგასამართი სადგურები რჩება. არადა, ყველა ამ ობიექტის უკან უამრავი ადამიანი და ოჯახი დგას. განვითარებულ ქვეყნებში დიამეტრულად განსხვავებული მდგომარეობის არსებობის მიუხედავად, საქართველოში მცირე მეწარმეები ყველაზე ჩაგრულთა "კლასს" განეკუთვნებიან. ზარნაძის თქმით, თავისი ინტერესების დასაცავად მათ საკუთარი ძალები არ ჰყოფნით, ხოლო პარლამენტში მსხვილი ბიზნესიდან მისული დეპუტაცია, მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის არსებული ტრადიციული დაპირისპირების გამო, მათ ლობისტობას არ კისრულობს.

ამ მიზეზების გათვალისწინებით, მცირე მეწარმეებმა უმაღლეს ხელისუფალთ რამდენიმე მოთხოვნა გაუგზავნეს, რომელთა შესრულებაც, მათი აზრით, ქვეყანაში მცირე ბიზნესთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, მეწარმეები პარლამენტში 1999 წელს შეტანილი კანონპროექტის განხილვის დაწყებას ითხოვენ, რომლითაც მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმის სტატუსი დაკანონდება; გარდა ამისა, ისინი ითხოვენ მცირე მეწარმეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური და რეგიონული სტრუქტურების შექმნას; მცირე საწარმოთა შემოწმებაზე, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც სამწლიანი მორატორიუმის გამოცხადებას; "სიღარიბის დაძლევის" პროგრამის ფარგლებში ქვეყნისთვის გამოყოფილი 141 მილიონი დოლარიდან მცირე მეწარმეობის განვითარებაზე 50 მილიონი დოლარის მიმართვას.

ხელისუფლების მიერ ამ მოთხოვნების შესრულება, ალბათ, საკმაოდ საეჭვოა, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ისიც არ არის ცნობილი, შეხვდება თუ არა აღნიშნული მიმართვის რომელიმე ადრესატი მცირე მეწარმეთა სამუშაო ჯგუფს, როგორც ამას თავად მეწარმეები ითხოვენ.

# „ორმაგი აგენტების" მმართველობა

### არის თუ არა საბოტაჟი სახელმწიფო შესყიდვების მიკერძოებული კონტროლი?

*ჩვენ გამუდმებით გვესმის და ვხედავთ ჩვენივე გადასახადებით შეკოწიწებული ბიუჯეტიდან ფულის უკანონოდ ხარჯვისა თუ მითვისების ფაქტებს. არც ის არის სიახლე, რომ სახელმწიფო სახსრების ჩაჯიბვის მოხერხებულ ილეთად საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვები იქცა. კორუფციაზე, სახელმწიფო დანაშაულსა თუ საბოტაჟზე - რაზე აღარ საუბრობს დღეს ხელისუფლება, მაგრამ "ქერის ორმოდ" ქცეულ სახელმწიფო შესყიდვებში აღმოჩენილ-გამოვლენილი დარღვევებით ერთხელ მაინც თუ "მოუწონებია თავი" მთავრობას? არადა, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციითა და ხელშეწყობით უკვე მესამე წელია არსებობს სპეციალური სააგენტო, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარება და დღენიადაგ ამ საქმის კეთება ევალება. გსმენიათ ოდესმე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესახებ? ალბათ, არასოდეს ან, უკეთეს შემთხვევაში, ოთხი თვის წინ, როდესაც ამ სააგენტომ 41 ორგანიზაციას უჩივლა და ჯარიმების დაკისრება მოისურვა. "დაჯარიმებულებში" მოყვნენ სახალხო დამცველი, მედეა მეზვრიშვილი და, ეგზოტიკისთვის, ბათუმის მერი - გიორგი აბაშიძე.*

გიორგი გახელაძე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2000 წელს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით შეიქმნა, როგორც სახელმწიფო ანუ გადამხდელთა სახსრების მიზნობრივად და გამჭვირვალედ ხარჯვის მარეგულირებელი ერთ-ერთი სპეციალიზებული ორგანო. საკუთრივ ეს რეკომენდაცია შესყიდვების სფეროში საბიუჯეტო ორგანიზაციების ტოტალურად მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად შემუშავდა. სწორედ ამის გამო შეიქმნა სპეციალური საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც სააგენტოს მნიშვნელოვანი ფუნქციები მიენიჭა; კერძოდ: სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მექანიზმების მონიტორინგი; 2000 წლის ოქტომბერში საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე თემურ ხომერიკი დაინიშნა.

შესაძლო კორუფციის თავიდან ასაცილებლად კი, 2002 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს კანონით მიეცა უფლება, კანონდამრღვევი შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფორმები გამოეყენებინა და მის მიერ შედგენილი სამართალდარღვევების ოქმები სასამართლოში გადაეგზავნა. შესაბამისად, უკვე თითქმის ორი წელია, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ვალდებულია, სახელმწიფო ფულის გამფლანგველებს (საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების, დაახლოებით, 2000-მდე სახელმწიფო ორგანიზაციაა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეუდგინოს. მაგრამ, ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა - მიმდინარე წლის 30 აპრილს. თანაც, 2000-მდე ორგანიზაციიდან დარღვევები თურმე მხოლოდ 41-ს ჰქონია.

„მხილებულთა" შორის აღმოჩნდნენ სახალხო დამცველის ოფისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თელავის რაიონის გამგეობა, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, ბათუმის მერია, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია და ა.შ.

რა პრინციპით შეირჩა „სამაგალითო" სია? მეტი სიცხადისათვის, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სახელმწიფო შემსყიდველების მთავარი მაკონტროლებელი, თემურ ხომერიკი თავადვე მუშაობს ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. თსუ-ს დღევანდელი ადმინისტრაციის „კეთილსინდისიერებაზე" საუბრის გაგრძელება, ვფიქრობთ, აღარ ღირს. ბუნებრივია, უნივერსიტეტი დასაჯარიმებელთა „შავ სიაში" არ მოხვედრილა. ჩანს, სააგენტოს თავმჯდომარე, ერთგვარად, „ორმაგ აგენტობას" ეწევა.

გასული კვირის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ორი ტიპის სამართალდარღვევების ინტენსიური გამოვლენა მოითხოვა – „სამოხელეო დანაშაული" და „საბოტაჟი". მაგრამ, რა ნიშნით განხორციელდება დამნაშავეთა სელექცია, რა თქმა უნდა, არავის განუმარტავს. როგორც ჩანს, თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველო ინდივიდუალისტთა ქვეყანაა და ყველაფერი სუბიექტურად უნდა (?1) წყდებოდეს. სწორედ, პოლიტკონიუნქტურული მოტივაციით ახსნეს სააგენტოს ქმედებები სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებით თავმჯდომარეს სააგენტოს საქმეებზე პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრია. ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად თავმჯდომარეს ერთპიროვნულად მინიჭებული დამატებითი უფლებებით 2003 წლის 30 აპრილამდე არ უსარგებლია. თუმცა, ამის ვალდებულება 2002 წლის 1 იანვრიდან აქვს აღებული.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე კანონით ვალდებული იყო მიეღო ზომები, რათა დარღვევების კვალობაზე შედგენილიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შემდგომ სასამართლოში გადასაგზავნად. სინამდვილეში კი თემურ ხომერიკმა 2002 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არც ერთი ოქმი არ შეადგინა. თუმცა, ამას არაერთხელ მოითხოვდნენ სააგენტოს თანამშრომლები როგორც ზეპირად, ასევე მოხსენებითი ბარათებით.

სააგენტოს თავმჯდომარემ, ალბათ, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კონტროლის პალატას 2003 წლის თებერვალში წერილით მიმართა, რომელშიც 2002 წელს დაფიქსირებული სამართალდარღვევების შესახებ საკმაოდ ბუნდოვნად აღნიშნავდა. მან ამ წერილს დაურთო, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ 2002 წელს ჩატარებული ტენდერების ცხრილი, სადაც ამა თუ იმ კონკრეტული ტენდერის დროს გამოვლენილი დარღვევების თაობაზე იყო აღნიშნული. ამ დროისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება უმრავლეს შემთხვევაში უკვე შეუძლებელი იყო, რადგან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილმა ხანდაზმულობის ვადებმა (ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან) განვლო.

შეუძლებელია, სააგენტოს თავმჯდომარეს ეს არ სცოდნოდა. აქ დასაშვებია ორი მიზეზი: პირადი ანგარება, ან შიში ძლიერი სახელმწიფო სუბიექტების მიმართ და თანამდებობის დაკარგვის მოტივაციით, სერიოზულ დარღვევებზე თვალის დახუჭვა. არადა, საუბარია ათეული მილიონობით ლარის ხარჯვაზე. თემურ ხომერიკის სახელმწიფო მინისტრისადმი განსაკუთრებულად მორჩილ-მონდომებული დამოკიდებულება საიდუმლოს არ წარმოადგენს. მხოლოდ ავთანდილ ჯორბენაძის პოლიტიკური და წინასაარჩევნო გემოვნების ლოგიკას ემთხვევა 41 ოქმშედგენილ ორგანიზაციაში წარმოჩენილი შედარებით მსხვილი შემსყიდველები და, განსაკუთრებით, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია. იქნებ, საკუთარი ინიციატივით, ან მომავალი დაწინაურების მიზნით ებმება პოლიტიკურ ინტრიგებში შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე? სხვა შემთხვევაში გაუგებარია, შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე რატომ მოქმედებს მუდმივად მის უშუალო ხელმძღვანელთან - ეკონომიკის მინისტრთან შეუთანხმებლად?

# სამხედროების პრობლემებს ყურადღება არ ექცევა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროფკავშირების გუშინდელ ყრილობაზე, რომელსაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე და სამხედრო უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ, ქართულ არმიაში მიმდინარე რეფორმებთან და თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეს.

როგორც ყრილობის დასრულების შემდეგ სამხედრო პროფკავშირების გაერთიანებული კომიტეტების თავმჯდომარემ თენგიზ კობალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თავდაცვის სამინისტროს პროფკავშირული გაერთიანება უკვე ოთხი წელია არსებობს და ყრილობაზე ამ პერიოდში ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები შეჯამდა. კობალაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სამხედროების პრობლემებს სათანადო ყურადღებას არ უთმობს. სამხედრო პროფკავშირები ხუთი ათასზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს აერთიანებს. **პრაიმ-ნიუსი**

# ელექტროენერგიაზე დაწესებული შეღავათის ბედი კვლავ გაურკვეველია

*დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში "თელასის" წინააღმდეგ "ლეიბორისტების" მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე აღძრული სასამართლო პროცესი 27 აგვისტოსთვის გადაიდო. მიზეზი "თელასის" წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა გახლდათ. "თელასი" სასამართლო პროცესს განგებ, "რაო ეეს"-ის ჩამოსვლამდე აჭიანურებს, რათა თვითონ პასუხისმგებლობა მოიხსნას," – აცხადებს "ლეიბორისტთა" ლიდერი გიორგი გუგავა.*

ნანა ქადაგიშვილი

შეგახსენებთ, რომ "ლეიბორისტებმა" "თელასის" მიერ ომის ვეტერანთათვის ელექტროენერგიაზე დაწესებული შეღავათების შეჩერების გამო შეიტანეს სარჩელი. "თელასმა" ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა 14 კატეგორიაზე დაწესებული შეღავათი ამა წლის 1 მაისიდან შეაჩერა. "ლეიბორისტთა" პარალელურად ვეტერანებმაც მიმართეს სასამართლოს.

"24 საათი" ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ წერდა, რომ სანამ ომის ვეტერანები ვეტერანის მოწმობას (ურომლისოდაც შეღავათით ვერავინ ისარგებლებდა) აიღებდნენ, შეიძლება შეღავათები საერთოდ გაუქმებულიყო. სამწუხაროდ, პროგნოზი გამართლდა. ბევრმა ვეტერანმა ელექტროენერგიაზე დაწესებული შეღავათით სარგებლობა ვერ მოასწრო, რადგან ის პერიოდი, სანამ შეღავათები მოქმედებდა, ვეტერანის მოწმობის ასაღებად რიგში იდგა. არადა, შეღავათი სოლიდური იყო - ზამთარში 125 კილოვატი, ზაფხულში – 62.

**"თელასი" არაფერ შუაშია. შეღავათი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო, მაგრამ "თელასს" არაფერი მიუღია. სახელმწიფოს ჩვენი 6 მილიონი ლარი მართებს. ხელისუფლებას რამდენჯერმე მივმართეთ წერილობით, გარიგებაც შევთავაზეთ - ვეტერანთა შეღავათების დაფინანსების ნაცვლად "თელასისთვის" გარკვეული შეღავათი გაეწია, მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს 5,8-მილიონიანი ვალისგან გავეთავისუფლებინეთ, მაგრამ ხელისუფლება არც გარიგებაზე წამოვიდა და არც თანხა გადმოგვირიცხა, ამიტომ "თელასი" იძულებული გახდა, ვეტერანებისთვის დაწესებული შეღავათი შეეჩერებინა. საკუთარ მოქალაქეებზე სახელმწიფო არ ზრუნავს და კერძო კომპანია რა ვალდებულია,"** – აცხადებს "თელასი".

ამ საკითხში "თელასი" ნამდვილად მართალია. ხელისუფლებამ ომის ვეტერანები ამ 125-62 კილოვატს ლამის გადააყოლა. ჯერ იყო და, დაუფინანსებლობის გამო, შეღავათი შარშან, აპრილში შეჩერდა. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ კანონის მიღებას (ურომლისოდაც შეღავათი არ აღდგებოდა) პარლამენტმა 8 თვე მოანდომა. შეღავათის აღდგენის შემდეგ 8 თვის განმავლობაში გადახდილი საფასური ვეტერანებს წინა გადახდაში კი ჩაუთვალეს, მაგრამ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი: ვეტერანებს შეღავათით რომ ესარგებლათ, "თელასში" ვეტერანის მოწმობა უნდა წარედგინათ. ამ მოწმობის აღება კი ბევრმა დღემდე ვერ მოახერხა (მიზეზებს აღარ დავაკონკრეტებთ, რადგან "24 საათი" ამის თაობაზე არაერთხელ წერდა). რა იქნება მომავალში, არავინ იცის. შეღავათის დაფინანსება გაგრძელდება თუ არა, ფინანსთა სამინისტრო ვერაფერს ამბობს. სანამ სეკვესტრირებული ბიუჯეტის პროექტის საკითხი არ მოგვარდება, ხელფეხშეკრულები ვართ და ვერაფერს ვაკეთებთო, აცხადებს სამინისტრო.

## მოკლედ

### ხაშხაშის თესლი - განხილვების გარეშე

ფრაქცია „თანადგომის" წევრი, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზეზვა ღუღუნიშვილი კატეგორიულად ითხოვს, ყოველგვარი წინასწარი განხილვების გარეშე პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში „ნარკოტიკებისა და პრეკურსორების შესახებ" გათვალისწინებულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა ნუსხას ჩაემატოს ხაშხაშის თესლი.

მისი თქმით, კანონში ამ საკითხის გაუთვალისწინებლობის გამო, ბოლო თვეების განმავლობაში ნარკომანთა რიცხვმა 30-ჯერ იმატა. პარლამენტის თავმჯდომარემ ღუღუნიშვილის მოთხოვნას მხარი დაუჭირა. **მედია-ნიუსი**

### ბაღათურია "ჰიგიენის გაკვეთილების" წინააღმდეგია

ჯონდი ბაღათურიამ და "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა" მოზარდთათვის განკუთვნილი "ჰიგიენის გაკვეთილების" წინააღმდეგ გაილაშქრეს.

"მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, განათლების სამინისტრომ გასულ წელს, გამოუშვა პირველი სახელმძღვანელო სათაურით "მხიარული საუბრები სექსზე", რასაც გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა და წიგნის სათაური შეიცვალა სახელწოდებით "ჰიგიენის გაკვეთილები", მაგრამ, როგორც ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს განუცხადა, არსობრივად არაფერი შეცვლილა. "დიოგენეს" მიერ გამოცემული რუთბელის სახელმძღვანელო "ცვლილებები სხეულში და ცვლილებები ცხოვრებაში", პროპაგანდას უწევს ზნეობრივ გადაგვარებას, სულიერ დეგრადაციასა და ერის გენეტიკურ გადაშენებას. "წიგნში, პროპაგანდა ეწევა დებსა და ძმებს, მამა-შვილს შორის სექსუალური კავშირის დანერგვას", - აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ. **ინტერ-პრესი**


## ყურადღება

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2003-2004 სასწავლო წლისათვის აცხადებს სტუდენტების მიღებას. აბიტურიენტებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდას, სწავლის პერიოდში დაენიშნებათ სტიპენდია.

უნივერსიტეტში სასწავლო ენა ინგლისურია

- მრეწველობის მართვა
- ფინანსების და საბანკო საქმე
- საერთაშორისო და ეკონომიკური ურთიერთობები
- მრეწველობის ორგანიზაცია
- კომპიუტერული მეცნიერებები
- კვების მრეწველობა
- ქართველოლოგია
- ამერიკანისტიკა

მისაღები გამოცდა დანიშნულია 2003 წლის 30 აგვისტოს, შაბათს, 11 საათზე.

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. №2

E-mail: www.ibsu@edu.ge
Web-site: www.ibsu.ge

ტელ: 59-50-05 / 59-50-06



## განცხადება

გაცნობებთ, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული N2/109 1.06.00წ. სააღმსრულებო ფურცლის თანახმად ს/ს "კახეთის პურს" საქ-ოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაეკისრა 500207 აშშ დოლარისა და 79 ცენტის გადახდა ეკვივალენტით ლარებში.

ვალის ამოღების უზრუნველყოფის მიზნით, 2003 წლის 29 აგვისტოს დღის 12.00-სთ-ზე ქ. თელავში, დავითაშვილის ქ.N4-ში, კახეთის სააღმსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი გიორგი პაპოშვილის სამუშაო ოთახში მოვალე ს/ს "კახეთის პური"-ს ქონებაზე ჩატარდება აუქციონი. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილია ს/ს "კახეთის პური"-ს კუთვნილი თელავის პურკომბინატის უძრავ-მოძრავი ქონება შეფასებული 53668 ლარად. აუქციონი ჩატარდება "საქართველოს სააღმსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მიხედვით. აუქციონზე ქონების შემძენს ევალება წარმოადგინოს გარანტია შემოძლეული ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილ თანხას შემოიტანს 1 (ერთი) კვირის ვადაში. იმ პირებს, რომლებსაც გააჩნია პრეტენზია, უფლებები გასაყიდ ქონებაზე, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

**კახეთის სააღმსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი: გ. პაპიაშვილი**

**20.08.03წ**


# მორიგი მორევი მერიასთან





გოგიტა ბახაიძის ფოტო

*მორიგი წინასაარჩევნო აქცია.*

ზაზა ფარულავა

*გუშინ მერიის წინ "აღორძინება" შეასკდა "ნაციონალებს", უფრო სწორად, "ნაციონალების" ერთგულ ქალებს და შენობის დამცველ ფორმიანებს.*

"ნაციონალების" მხარდამჭერთა შორის ორი ქალბატონი გამოირჩეოდა. ერთი, შედარებით ასაკოვანი ყვიროდა, მეორე - ახალგაზრდა, ფიზიკურ ძალასაც ხმარობდა. ასე მაგალითად, მან ერთ-ერთ ჭაბუკ ამღორძინებელს ხელი უკუღმა სტკიცა ცხვირ-პირში. სათვალემოღრეცილი ბიჭი გაოგნებიდან თანაპარტიელების შეძახილებმა გამოაფხიზლა, არ დაარტყა, ბიჭო, არ უპასუხოო და არც უპასუხია.

ეს ინციდენტი და სხვა ჯგუფური გაწევ-გამოწევა მოჰყვა "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" "მამხილებელ პრესკონფერენციას", რომლის ჩატარება ცოტნე ბაკურიას უშუალოდ მერიის წინ, ტროტუარზე ჰქონდა განზრახული, ასე უფრო მივიქცევ საზოგადოების ყურადღებასო; მაგრამ, მისი ხალხის მცდელობის მიუხედავად, შენობის დაცვამ და პოლიციამ "აღორძინების" წარმომადგენლებს ხის ტრიბუნა ტროტუარზე არ დაადგმევინა.

ამის გამო ცოტნე ბაკურიას ქვაფენილიდან მოუხდა სააკაშვილისა და საკრებულოს დიდი თანხის მითვისებაში დადანაშაულება.

"სააკაშვილი და საკრებულო გამოსცემს გაზეთს "საკრებულოს მოამბე", სადაც ჩამოთვლილია მათ მიერ გაკეთებული საქმეები (სად რამდენი ლიფტი, სახურავი და სპორტული მოედანი შეაკეთეს), რისთვისაც მილიონობით ლარია დახარჯული. ჩვენ გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს მიწერებს და თანხების მითვისებას.

გაზეთში უამრავი მისამართია ისეთი, სადაც საერთოდ არაფერი გაკეთებულა," – განაცხადა ბაკურიამ და საკუთარი სიტყვების დამადასტურებელი მაგალითები მოიყვანა.

შემდეგ კი სპეციალისტებს სააკაშვილის ფსიქიკური შემოწმებისა და მკურნალობისაკენ მოუწოდა.

"აღორძინებას" მეტი არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ ჟურნალისტებს საპასუხო სიტყვით მიმართა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, "ნაციონალმა" კობა ბექაურმა: "ეს არის "აღორძინებისა" და ხელისუფლების მხრიდან "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული აქცია, მაგრამ ჩვენ არჩევნებშიც გავიმარჯვებთ, რუსეთსაც ჩამოვიშორებთ და ყველა დაწყებულ საქმესაც დავამთავრებთ."

"24 საათი" - ბატონო კობა, იქნებ, მართლაც, არის ისეთი შემთხვევები, რაზეც "აღორძინება" საუბრობდა?

ტყუილია, ტყუილია, აბსოლუტური ტყუილია!

ხომ არ აპირებთ მისამართების გადამოწმებას?

არა, არა, ეს აბსოლუტური ტყუილია!

"ნაციონალმა" გიორგი არველაძემ კი აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ შევარდნაძისა და აბაშიძის დანაშაულებრივი რეჟიმები "ნაციონალურ მოძრაობას" სიცრუითა და შეთითხნილი ბრალდებებით ერთობლივად ებრძვიან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დასავლეთ საქართველოს რეგიონებში სიმინდის მავნებელი ხვატარი გავრცელდა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის ცნობით მავნებლის გამრავლების შესახებ ინფორმაცია მოვიდა მარტვილის, სენაკის, ზუგდიდის რაიონებიდან. სპეციალისტები აცხადებენ, რომ თუ ნათესები არ დამუშავდა სპეციალური პრეპარატებით, მოსავლის დიდ ნაწილს განადგურება ემუქრება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაგრატის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ ერთკვირიანი ღონისძიება 26 სექტემბერს დაიწყება საგანმანათლებლო, კულტურული და სამეცნიერო კონფერენციებით. მოწვეული არიან უცხოელი სტუმრები. დღესასწაულს დაესწრებიან ოფიციალური პირებიც, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვეტგაერთიანებამ შპს „სპორტიმპერიის" მიმართვის საფუძველზე მის საწყობში არსებული პროდუქცია შეამოწმა. აღმოჩნდა, რომ დიდი ხნის წინათ შემოტანილი 8,2 ტონა ბურვაკის შებოლილი ნეკნები გაფუჭებულა და რეალიზაციისთვის უვარგისი გამხდარა. უახლოეს მომავალში შებოლილი ნეკნების მთლიანი პარტია განადგურდება გლდანის ნაგავსაყრელზე არსებულ სპეციალურ სამარხში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 23 აგვისტოდან თბილისის სკოლების მეორე-მესამეკლასელებს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს სახლებში დაურიგებენ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თემურ ჭეიშვილის განცხადებით, მათ, ვინც რაიმე მიზეზის გამო სახლში ვერ მიიღებს აღნიშნულ წიგნებს, უნდა მიაკითხონ შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს სპეციალიზებული სადეზინფექციო ხსნარებით ახლახან გამართულ ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ლიზიფირმ კავკასია" მოამარაგებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს დენი დავალიანების გამო კვლავ არ მიეწოდება. **მედია-ნიუსი.**


## შაჰ დენიზის ბუნებრივი აირის და კონდენსატის საზღვაო საბადოს ათვისების პირველი ეტაპის და სამხრეთ კავკასიის საექსპორტო მილსადენის პროექტები

### საპროექტო დოკუმენტაციის საჯარო განხილვა საერთაშორისო დონეზე

შაჰ დენიზის საბადოს ათვისების პირველი ეტაპი წარმოადგენს კასპიის საზღვაო საბადოს განვითარების პროექტს. სამხრეთ კავკასიის მილსადენის (სკმ) პროექტი მოიცავს 690 კმ სიგრძის მილსადენს, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება დაიწყება 2006 წლიდან. აღნიშნული პროექტებისათვის საჭირო საერთო ინვესტიციები შეადგენს დაახლოებით 3.2 მლრდ აშშ დოლარს, რაც მოიცავს მიახლოებით 2.3 მლრდ აშშ დოლარს შაჰ დენიზის საბადოს ათვისების პირველი ეტაპისათვის და 0.9 მლრდ აშშ დოლარს სამხრეთ კავკასიის საექსპორტო მილსადენისათვის. კომპანია "BP" მართავს ორივე პროექტს შესაბამისი საერთაშორისო ინვესტორების ჯგუფების სახელით. მან აგრეთვე დახმარება გაუწია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას (არსნ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის მომზადებაში საჯარო განხილვისათვის.

არსნ და მისი ფილიალები მონაწილეობენ შაჰ დენიზის საბადოს ათვისების 1-ლი ეტაპისა და სკმ პროექტებში. მათი აქციათა პაკეტი შეადგენს 10%-ს თითოეულ პროექტში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) ამჟამად განიხილავს არსნ-ის ფილიალებისათვის 170 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრძელვადიანი დაფინანსების გამოყოფის საკითხს. როგორც აღინიშნა, არსნ-ისა და მისი ფილიალების წილი თითოეულ პროექტში (შაჰ დენიზის და სკმ) შეადგენს 10%-ს.

პროექტების მიერ მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით პასუხისმგებლობით განხორციელების ვალდებულებების გათვალისწინებით, პროექტების ფარგლებში გატარდა ბევრი ზომა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის ამაღლების მიზნით, რომელიც მოიცავს საზოგადოებასთან ფართო კონსულტაციებს და მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის გავრცელებას ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. ორივე ტერიტორიის მფლობელ ქვეყანაში (აზერბაიჯანი და საქართველო) გამოქვეყნდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც შესაბამისი მთავრობების მიერ დამტკიცდა 2002 წ ყოვლისმომცველი საჯარო განხილვის შემდეგ.

თითოეული ქვეყნის დონეზე დღემდე ჩატარებული განხილვების გარდა, რომლებიც მოიცავდა კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ერგბ-ს მოთხოვნაა ეკოლოგიური შეფასების დოკუმენტაციის მომზადება და საჯარო განხილვა ბანკის პოლიტიკებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დამატებითი დოკუმენტაციაა შეტანილი საჯარო განხილვისათვის მომზადებული დოკუმენტების პაკეტში.

დოკუმენტები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

www.caspiandevelopmentandexport.com.

**შესაბამის ენაზე თარგმნილი დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია წინასწარ დანიშნული შეხვედრის საფუძველზე შემდეგ პუნქტებში:**

1. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ.38 თბილისი, ტელ: 59 34 00
2. რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი
3. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი
4. რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20, რუსთავი
5. ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18, ახალციხე
6. EBRD ის ოფისი თბილისში ნ. ჩხეიძის ქ. 38
7. EBRD is ofisi londonSi - Business Information Centre, One Exchange Square, London EC2A 2JN. Please contact: Bossan Annaeva at: +44 207 338 7150

შეკითხვებისა და შენიშვნების მიწოდება EBRD-თვის შესაძლებელია შემდეგი საშუალებით:

1. EBRD ის ოფისი თბილისში ნ. ჩხეიძის ქ. 38
2. EBRD ის ოფისი ლონდონში - Business Information Centre, One Exchange Square, London EC2A 2JN. Please contact: Bossan Annaeva at: +44 207 338 7150
3. ელ. ფოსტა: annaevab@ebrd.com; JeterJ@ebrd.com
4. EBRD გამართავს შემდეგ საჯარო შეხვედრებს: 8 სექტემბერი, 09.30 სთ კომპოზიტორთა სახლი, ქ. ბორჯომი, საქართველო
   11 სექტემბერი, 09.30 სთ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი", თბილისი, საქართველო

**შეკითხვებისა და შენიშვნების მიწოდება აგრეთვე შესაძლებელია:**

1. არსნ ოფისი. მისამართი: ქ. ბაქო, ნეფტჩილარის გამზირი № 73 (საკონტაქტო პირი: ალამაშუდ სირაჯევი, ტელ.: 921 130)
2. კომპანია "BP"-ის ოფისი. მისამართი: საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქართველო

## "სურსათი ხმების სანაცვლოდ"

ზიმბაბვეს სკანდალურად ცნობილმა პრეზიდენტმა მუგაბემ კიდევ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. გუშინ, მთავრობის ბრძანებით, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს სურსათი ჩამოართვეს. მას შემდეგ, რაც მუგაბემ საუკეთესო ფერმები პატრონებს ჩამოართვა და თავის მომხრეებს დაურიგა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა, ფაქტობრივად, განადგურდა. ქვეყნის მოსახლეობის მესამედს გაერო-ს მსოფლიო სასურსათო პროგრამა, ევროკავშირი და სხვა დონორები არჩენენ. მუგაბეს მთავრობის მინისტრმა განაცხადა, რომ სურსათის ჩამორთმევა სრულიად კანონიერი იყო, რადგან ხალხი საკვებს, პირველ რიგში, მთავრობისაგან მოითხოვს. დონორები კი შიშობენ, რომ ორ კვირაში დანიშნული არჩევნების წინ მუგაბე აპირებს, სურსათი თავის მომხრეებს დაურიგოს, ხოლო მოწინააღმდეგეები ისე დაამშიოს, რომ მათ არჩევნებზე მისვლის თავიც არ ექნეთ.

## "ჩვენი აზერბაიჯანი" "ახალი აზერბაიჯანის" წინააღმდეგ

აზერბაიჯანული ოპოზიციის "დიდი სამეული": მუსავატების ლიდერი ისა გამბარი, აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ეტიბარ მამედოვი და სახალხო ფრონტის პროგრესული ფრთის ლიდერი ალი ქერიმლი კონსულტაციებს აწარმოებენ და, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ერთიანი კანდიდატურის წამოყენებაზე შეთანხმდნენ, – განაცხადა ისა გამბარმა. მან დასძინა, რომ მოლაპარაკებები სხვა პარტიებთანაც მიმდინარეობს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში უკვე 12 კანდიდატი გაატარა, აქედან 6 ოპოზიციას წარმოადგენს.

გამბარმა საერთაშორისო ორგანიზაციებს არჩევნების მონიტორინგისაკენ მოუწოდა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი ილჰამ ალიევი ტელედებატებში გამოიწვია.

ოპოზიციის ერთმა ჯგუფმა შექმნა გაერთიანება, სახელად "ჩვენი აზერბაიჯანი", რომელშიც ზემოთხსენებული ოპოზიციური პოლიტიკოსებიც შედიან. მათ იმედი აქვთ, რომ სახელისუფლებო პარტიას "ახალ აზერბაიჯანს" დაამარცხებენ.

# იერუსალიმის ტერაქტი: სამშვიდობო პროცესის დასასრული თუ დასაწყისი

პირველი გვერდიდან


იერუსალიმში აფეთქებული ავტობუსები.

REUTERS

კერძოდ, ისრაელმა შეაჩერა კონტაქტები პალესტინის ხელისუფლებასთან და განაახლა ღაზას სექტორის და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბლოკადა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სამშვიდობო გეგმის იმ ნაწილის განხორციელება, რომლის მიხედვითაც პალესტინელთა კონტროლის ქვეშ დასავლეთ სანაპიროს ორი ქალაქი – იერიქონი და კალკილია უნდა გადასულიყო, გაურკვეველი ვადით არის გადადებული. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქების პალესტინელთა მმართველობაში გადასვლა ამ კვირის ბოლოს იყო დაგეგმილი. ეს კი საერთაშორისო სამშვიდობო გეგმის, "საგზაო რუკის" ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ისრაელის ტელევიზიის ცნობით, შეჩერებულია ისრაელის ციხეებში მყოფი პალესტინელი პატიმრების გათავისუფლების პროცესიც, რაც ასევე "საგზაო რუკის" აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული. დამკვირვებლები და პოლიტიკოსები იერუსალიმის ტერაქტს უკვე აფასებენ, როგორც უძლიერეს დარტყმას სამშვიდობო პროცესზე. რა მოხდება ამის შემდეგ? მოვლენათა პროგნოზირება უკვე ყველას უჭირს.

## ტრაგედიის დეტალები

ტერაქტი სამშაბათს, თბილისის დროით, 23:15 წუთზე განხორციელდა. თვითმხილველთა თქმით, ორთოდოქსი ებრაელის ტანისამოსში გადაცმული პალესტინელი კამიკაძე სამგზავრო ავტობუსში ავიდა. ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ მომენტში აამოქმედა, როდესაც მათ ტრანსპორტს გვერდით კიდევ ერთი ავტობუსი ამოუდგა. მსხვერპლთა ასეთი დიდი რაოდენობაც სწორედ ამან განაპირობა. თანაც, ორივე ავტობუსი მგზავრებით იყო გადატვირთული. როგორც ვარაუდობენ, ტერორისტმა ავტობუსი შემთხვევით არ ამოირჩია. მისი მგზავრების უდიდესი ნაწილი მორწმუნე ებრაელები იყვნენ და "გოდების კედლიდან" ბრუნდებოდნენ. როგორც გაირკვა, დაღუპულთა შორის ხუთი ბავშვია.

## ვინ დგას ტერაქტის უკან?

ტრაგედიიდან მოკლე ხანში, პალესტინურმა რადიკალურმა დაჯგუფებებმა "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" გაავრცელეს განცხადება. ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავის თავზე ორივე ორგანიზაციამ აიღო.

"ჰამასის" ერთ-ერთმა ლიდერმა აბდელ აზიზ რანტისმა კი, ტერაქტის კომენტირებისას, მთელი პასუხისმგებლობა ისრაელის მხარეს დააკისრა. **"ტერაქტის უკან ისრაელის დანაშაულებრივი პოლიტიკა დგას,"** - განაცხადა რანტისმა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რანტისმა განაცხადა, რომ არ გააჩნია ინფორმაცია, თუ კონკრეტულად ორგანიზაციის რომელმა ფრთამ განახორციელა იერუსალიმის ტერაქტი. მისი თქმით, "ჰამასი" კვლავ ერთგული რჩება თვენახევრის წინ გაკეთებული განცხადებისა, რომლის თანახმადაც ორგანიზაციამ ცეცხლის დროებითი შეწყვეტა გამოაცხადა.

რანტისის განცხადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, "ჰამასმა" ტელეეთერში გადასცა ვიდეოფირი, სადაც "ჰამასის" აქტივისტი იერუსალიმის ტერაქტის ორგანიზებას თავის თავზე იღებს. როგორც ჩანს, ვიდეოჩანაწერი ტერაქტამდეა გაკეთებული. კამიკაძე-ტერორისტის ვინაობაც გაირკვა. იერუსალიმის სისხლიანი ტერაქტი, საკუთარი სიცოცხლის ფასად, 24 წლის რაედ აბედ ელ-ჰამიდ მისაკმა განახორციელა. როგორც ცნობილი გახდა, ის "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტი და ქალაქ ჰებრონის ერთ-ერთი რაიონის იმამიც კი იყო. არ არის გამორიცხული, რომ ის "ჰამასის" წევრიც ყოფილიყო.

## რა იქნება შემდეგ?

როგორც ცნობილი გახდა, იერუსალიმის ტერაქტი სწორედ იმ დროს განხორციელდა, როდესაც პალესტინელი პრემიერ-მინისტრი აბუ მაზენი რადიკალური დაჯგუფებების ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და მშვიდობის აუცილებლობაში მათ დარწმუნებას ცდილობდა. დამკვირვებელთა და ექსპერტთა მტკიცებით, სამშაბათის ტრაგედია პალესტინის პრემიერისათვის უძლიერესი დარტყმა იყო. ისრაელმა ხომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა, არაფატთან ერთად, მასაც დააკისრა. თუკი პალესტინის ადმინისტრაციის შეფის იასირ არაფატისათვის ასეთი რამე უცხო ხილი არ არის, აბუ მაზენისათვის ეს საკმაოდ ბევრ რამეს ნიშნავს. პოლიტიკოსს, რომლის მთელი იმიჯიც სამშვიდობო მოღვაწეობაზეა დაფუძნებული, ამ ტერაქტზე პასუხისმგებლობის აღება ნამდვილად გაუჭირდება.

**"ეს იყო უსაშინლესი აქტი, რომელიც პალესტინელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელდა,"** - განაცხადა აღშფოთებულმა აბუ მაზენმა. მან პალესტინის უშიშროების სამსახურის შეფს და თავის თანამოაზრეს მოჰამედ დაჰლანს დამნაშავეთა დაუყოვნებლივ მოძებნა და დასჯა უბრძანა.

**"გადაწყდა, რომ პალესტინის ხელისუფლება შეწყვეტს ყველანაირი სახის დიალოგს "ჰამასთან" და "ისლამურ ჯიჰადთან." პალესტინის ადმინისტრაცია მათ პალესტინელი ხალხის უმაღლეს ინტერესებზე ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს,"** - განუცხადა სააგენტო "როიტერს" აბუ მაზენის წარმომადგენელმა.

როგორც ჩანს, პალესტინის პრემიერ-მინისტრის მოთმინების ფიალა ავსებულია. ის უკვე რადიკალური ნაბიჯების გადადგმას იწყებს. "უახლოეს მომავალში პალესტინის ხელისუფლება "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" წინააღმდეგ უსაფრთხოების ზომებს განახორციელებს," - დასძინა აბუ მაზენის წარმომადგენელმა.

ამდენად, იერუსალიმის ტერაქტი, შესაძლოა, ახლოაღმოსავლურ ტერორიზმთან ბრძოლაში შემობრუნების წერტილადაც იქცეს. თუკი აქამდე პალესტინის პრემიერ-მინისტრი რადიკალური დაჯგუფებების მოთოკვას მოლაპარაკებების და დიალოგის გზით ცდილობდა, ახლა მისი პოლიტიკა ასევე რადიკალურად უნდა შეიცვალოს. აბუ მაზენი "ჰამასს" და "ისლამურ ჯიჰადს" მათსავე ენაზე უნდა "გაესაუბროს." წინააღმდეგ შემთხვევაში, მშვიდობისმყოფელი პალესტინელი პრემიერი ისევე იქნება პასუხისმგებელი პალესტინურ ძალადობაზე, როგორც თავად კამიკაძე-ტერორისტები. დაბოლოს, თუკი აბუ მაზენი "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" დამარცხებას შეძლებს, სამშვიდობო პროცესის განხორციელებას წინ უკვე აღარაფერი დაუდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარებას ხანგრძლივი დროით უნდა დავემშვიდობოთ.

# ერაყში სამშვიდობო ძალებს სომხეთიც გააგზავნის


ერაყში სამშვიდობოების კონტინგენტი იზრდება.

REUTERS

სომხეთი მზადაა, ერაყში მენაღმეთა ოცეული და სამხედრო ექიმები გააგზავნოს, – ნათქვამია ვაშინგტონში სომხეთის საელჩოს მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

ერევანს სურს, აგრეთვე, მოკავშირე ოფიცრის გაგზავნა აშშ-ს ცენტრალური სარდლობის შტაბში, რომელიც ფლორიდაში, ქალაქ ტამპაში მდებარეობს.

ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს აშშ-ს ადმინისტრაციასთან და გვსურს, ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით დახმარება გავუწიოთ მას, – ნათქვამია რელიზში.

სომხეთს რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება სურს, ისევე, როგორც - მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისათვის ხელის შეშლა. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა ერაყში მცხოვრები 30 ათასამდე თანამემამულის კეთილდღეობა დავიცვათ, – იუწყება სომხეთის საელჩო.

დსთ-ს ქვეყნებიდან ერაყში სამხედრო ძალები უკრაინამ, აზერბაიჯანმა და საქართველომ უკვე გააგზავნეს.

## მოკლედ

**რუსეთი.** გუშინ კამჩატკაზე "მი-8" ტიპის ვერტმფრენი დაიკარგა, რომელშიც სახალინის ოლქის გუბერნატორი იგორ ფარხუტდინოვი და მისი თანმხლები 16 პირი იმყოფება. ისინი საოლქო ადმინისტრაციის კომისიის წევრები იყვნენ და გუშინ დილით ელიზოვოს აეროპორტიდან გეზი ჩრდილოეთ კურილსკისაკენ აიღეს. ადგილობრივი დროით, დაახლოებით 15:30-ზე დისპეტჩერებმა ვერტმფრენთან კავშირი დაკარგეს. აღსანიშნავია, რომ მეტეოროლოგების განცხადებით, რაიონში ფრენისათვის შესანიშნავი ამინდია. მაშველები იმედოვნებენ, რომ, შესაძლოა, ვერტმფრენმა რადიოსიგნალებისათვის მიუწვდომელ ადგილზე იძულებითი დაშვება განახორციელა, ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო.

დაკარგული ვერტმფრენის ძებნა ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც ხმელეთზე, ასევე ჰაერიდანაც. გუბერნატორის ტრანსპორტის დაკარგვის სავარაუდო ადგილას მყოფ საზღვაო ხომალდებს ყურადღების გაძლიერება ებრძანათ.

გუშინ სიბნელის დადგომასთან დაკავშირებით ძებნა შეჩერდა. მაშველები გუბერნატორის და ვერტმფრენის ძებნას დღეს განაახლებენ.

■ ■ ■

**რუსეთი.** "რუსობორონექსპორტის" განცხადებით, რუსული იარაღის გაყიდვის დონე მიმდინარე წელს 2002 წლის დონეზე შენარჩუნდება და 4 მილიარდ ამერიკულ დოლარს გადააჭარბებს. ამის თაობაზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე თავად საწარმოს ხელმძღვანელმა ანდრეი ბელიანინოვმა განაცხადა. მისი თქმით, შესაძლოა, "როსობორონექსპორტმა" წლის ბოლომდე მოახდინოს ერთ-ერთი კონტრაქტის რეალიზება, რომელიც უკვე ხუთი წელია, მუშავდება. კერძოდ, ა.წ. აგვისტოში საწარმომ ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც მალაიზიისათვის 18 ერთეული ავიაგამანადგურებლის "სუ-30"-ის მიყიდვას ითვალისწინებს. კონტრაქტის პირობების თანახმად, რუსეთი ამ გარიგებით 900 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს. ბელიანინოვმა ასევე განაცხადა, რომ რუსული იარაღის პერსპექტიულ ბაზრად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები განიხილება.

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის ილია შაბალკინის განცხადებით, ჩეჩენი ამბოხებულების ლიდერმა ასლან მასხადოვმა და არაბული დაჯგუფების ხელმძღვანელმა აბუ ალ-ვალიდმა საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის ორგანიზებისათვის სამი მილიონი ამერიკული დოლარი მიიღეს. **"ჩვენი ინფორმაციით, ეს თანხა ორგანიზაცია "მუსულმანთა საძმოს" ხელმძღვანელობამ აბუ ვალიდს გამოუყო. ამ ფულის ძირითადი ამთვისებლები კი მასხადოვი და ბასაევი იქნებიან, რომლებსაც მხოლოდ ერთი მიზანი – რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლა ამოძრავებთ,"** - განაცხადა შაბალკინმა.

■ ■ ■

**პერუ.** პერუში მწიფდება პოლიტიკური სკანდალი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ალეხანდრო ტოლედოს სატელეფონო საუბრის უკანონო ჩაწერას უკავშირდება. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთ თანამშრომელთან ქვეყნის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ ეთერში გადასცა. საუბარში პერუს ლიდერის ქალაქ არეკიპაში გამგზავრების დეტალები განიხილებოდა. ტოლედო ამ ფაქტმა აღაშფოთა და განაცხადა, რომ ჩატარდება გამოძიება, რომელმაც ის დამნაშავე პირები უნდა გამოავლინოს, ვინც ქვეყნის პრეზიდენტის საუბარი ფირზე უკანონოდ ჩაიწერა. ალეხანდრო ტოლედოს თქმით, პერუს ყოფილი პრეზიდენტის ალბერტო ფუხიმორის და უშიშროების ყოფილი შეფის ვლადიმირო მონტესინოსის გარემოცვის წევრები მის მთავრობას ღიად უპირისპირდებიან. მონტესინოსმა, რომელიც პერუს სპეცსამსახურებს 2000 წლამდე ედგა სათავეში, პერუში სატელეფონო მასობრივი მოსმენების პრაქტიკა შემოიღო. პერუს სპეცსმასახურები მაღალი თანამდებობის პირთა საუბრებსაც უპრობლემოდ უსმენდნენ.

■ ■ ■

**აშშ.** როგორც ცნობილია, დასავლეთ ვირჯინიის შტატის პოლიცია აქტიურად ეძებს უცნობ სნაიპერს, რომელმაც უკვე სამი ადამიანი მოკლა. პოლიცია ამჟამად ამუშავებს ვერსიას, რომლის თანახმადაც მკვლელი, შესაძლოა, ნარკომოვაჭრეებთან იყოს დაკავშირებული. კანაუს ოლქის შერიფის წარმომადგენლის ფილ მორისის განცხადებით, გამოძიებას ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც სნაიპერის დანაშაულსა და მეტამფეტამინების გაყიდვას შორის კავშირს ადასტურებს. მორისის თქმით, ეს ვერსია ძალზე ფრთხილად მუშავდება. მორისმა ამ ვერსიის შემდეგი კომენტირებისგან თავი შეიკავა. მან განაცხადა მხოლოდ ის, რომ სნაიპერის სამივე მსხვერპლს ერთი და იგივე სკოლა აქვთ დამთავრებული.

## განცხადება

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 მარტის N2/28 გადაწყვეტილებით საქართველო-ამერიკულ ერთობლივ საწარმო "ჩალას-ვაინსს" დაეკისრა 43348 ლარის გადახდა შპს საგარეჯოს დაცვის პოლიციის სასარგებლოდ.

ვალის ამოღების უზრუნველყოფის მიზნით 2003 წლის 29 აგვისტოს, დღის 12.00 სთ-ზე ქ. თელავში, დავითაშვილის ქ.N4-ში კახეთის სააღმსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელი იოსებ ტყემალაძე ბიუროს უფროსის მ. მაისურაძის სამუშაო ოთახში ჩაატარებს აუქციონს. მოვალე საწარმო "ჩალას-ვაინსის" პირველ იძულებით აუქციონს. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილია 50000 ლიტრი ორდინარული ღვინო. 1 (ერთი) ლიტრის ფასი შეადგენს 1 (ერთი) ლარს. აუქციონი ჩატარდება "საქართველოს სააღმსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მიხედვით. აუქციონზე ქონების შემძენს ევალება წარმოადგინოს გარანტია შემოძლეული თანხის 10%-ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს ერთი კვირის ვადაში.

**კახეთის სააღმსრულებო ბიუროს**
**სასამართლო აღმასრულებელი: ი. ტყემალაძე**
**20.08.03ნ**

bp

btc

AIOC

## აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

## პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან,საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს,რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მიმდებარე სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია,რაც უზრუნველყოფს ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან), რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მოუხალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ქ.38 თბილისი,ტელ: 59 34 00

რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )

*მოკლედ*

## ეროტიკა ქალთა ფეხბურთში



*ნატურა ფეხბურთელიც შეიძლება იყოს*

ბუნდესლიგაში მოთამაშე "პოტსდამის" კლუბის ორმა ფეხბურთელმა ქალბატონმა ლენა ხოხლფელდმა და ნავინა ომელეიდმა გადაწყვიტეს, ხელოვნებაში ეცადათ ბედი და მხატვარ იურგენ გრაფს ნატურად დაუდგნენ. გრაფი კი იმით არის ცნობილი, რომ ეროტიკულ ტილოებს ქმნის. თანაც, რეპროდუქციებში აქცენტი სწორედ იმ ფაქტზე გაკეთდა, რომ ქალბატონები ფეხბურთს თამაშობენ. ცენტრალური ფიგურა კი (რასაკვირველია, ქალების გარდა) ბურთი იყო.

გერმანული "ბილდის" აზრით, გრაფმა მოახერხა და თავის ნამუშევარში ორივე ფეხბურთელი ნამდვილ მოდელად გარდასახა. ამისთვის მან Beate-Uhse-Kollektion-ის ტრიკოტაჟის ნაწარმი გამოიყენა. შემდეგ კი სახეშეცვლილი გოგონები ტილოზე ასახა. გრაფის შემოქმედება ბერლინის ეროტიკულ მუზეუმში გამოიფინება. ამასთან, დაგეგმილია ტილოების ინტერნეტ-აუქციონზე გაყიდვა. ყოველი ეგზემპლარის სასტარტო ფასი 800 ევროა. როგორც ამ ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, ამ ღონისძიების მიზანია, საზოგადოებას აჩვენოს, რომ ფეხბურთელი ქალებიც შეიძლება იყვნენ ეროტიკულები.

## ბაკე ექვსი თვით შვებულებაში?

ინგლისური "ლიდს იუნაიტედის" ნახევარმცველი ერიკ ბაკე შეიძლება დიდ ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოსცილდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფეხბურთელი ოპერაციას არ გაიკეთებს მუხლზე, რომელიც დიდი ხანია აწუხებს. კლუბის ხელმძღვანელობამ ნორვეგიელი უკვე გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოცდილი სპეციალისტის რიჩარდ სტიდმანის კლინიკაში, სადაც ოპერაციები გაუკეთეს ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან როი კინი და ალან შირერი. სტიდმანი გაარკვევს, სჭირდება თუ არა ბაკეს ოპერაცია.

25 წლის ფეხბურთელმა ჯერ კიდევ მარტში მიღო ტრავმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. ბაკეს ძალიან უნდოდა ფეხბურთის თამაში და ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები დანიისა და რუმინეთის წინააღმდეგ. აგრეთვე ბაკემ მონაწილეობა მიიღო ფინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩშიც.

## რა მინდა "კოკა-კოლასთან" ერთად

გრძელდება ჰიუსტონელი "რაკეტების" ჩინელი გიგანტის იაო მინისა და კომპანია "კოკა-კოლას" სასამართლო პროცესი, თუმცა, კომპანია ბევრს ეცადა, კალათბურთელთან მშვიდობიანი შეთანხმებისთვის მიეღწია. სპორტსმენის ადვოკატმა განაცხადა: "ჩვენ მათგან შეთანხმების გეგმა მივიღეთ, მაგრამ ამ გეგმამ არ დაგვაკმაყოფილა". გეგმის გამომზეურებაზე კი ადვოკატმა უარი განაცხადა.

მისი თქმით, იაო მინის მთავარი მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ "კოკა-კოლას" ეღიარებინა თავისი შეცდომა და კალათბურთელისთვის საჯაროდ ბოდიში მოეხადა. საქმე ის არის, რომ კომპანიამ თავისი პროდუქციის რეკლამირებისთვის კალათბურთელის თანხმობის გარეშე გამოიყენა იაო მინის გამოსახულება. "კოკა-კოლას" ბოთლებზე, რომლებიც ჩინეთში იყიდება, გამოსახულია იაო მინისა და ჩინეთის ნაკრების სხვა წევრთა გამოსახულებები.

"კოკა-კოლას" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ, როგორც ჩინეთის კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთ სპონსორს, უფლება აქვს, ნაკრების წევრთა გამოსახულება გამოიყენოს. მინი კი კომპენსაციის სახით სახალხო ბოდიშს და ერთ იუანს (12 ცენტი) ითხოვს.

## მარიო ტეისენი: "შუმახერი ჯერ კიდევ პირველი ნომერია"

შეიძლება ვინმემ გაბედოს და მიხაელ შუმახერის ნიჭს გაეჯიბროს, მაგრამ გერმანელი ჯერ კიდევ რჩება საუკეთესო მრბოლად მსოფლიოში. ეს აზრი BMW მოტოსპორტის ხელმძღვანელს მარიო ტეისენს ეკუთვნის. მან აღიარა, რომ Williams-ის ბიჭები რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოიაც კარგები არიან, "მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო იმას, თუ რას აკეთებს მიხაელი მანქანის შიგნით, - აცხადებს ტეისენი, - ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მუშაობს შუმახერი გუნდთან ერთად. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ მიხაელი საუკეთესო მრბოლია".

"შუმახერი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია პირად ჩათვლაში. ის თავის როლს უფრო ფართო სპექტრით ხედავს, ვიდრე, უბრალოდ, სწრაფი რბოლაა. ის საკუთარ თავს გუნდის ნაწილად მიიჩნევს, - აგრძელებს ტეისენი, - და სწორედ ამიტომაც არის მსოფლიოს ნომერი პირველი მრბოლი".

*TV-სპორტი*

### ხუთშაბათი. 21 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "ვასკუ და გამა"
15:00 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
15:30 "დარტყმა გოლისთვის"
15:45 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანიოლი" – "ბარსელონა"
17:30 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. სერბია და ჩერნოგორია – უელსი
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "ვასკუ და გამა"
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 ამხანაგური მატჩი. გერმანია – იტალია
23:35 რუსეთი – ისრაელი. დეტალები
00:05 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
01:05 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
02:00 02:00-დან 13:00-მდე შესვენება
05:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "ვასკუ და გამა". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 17:00, 20:10, 22:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
15:20 "ათენის გზაზე"
17:15 ფიგურული სრიალი. "ფიგურული სრიალის ვარსკვლავები"
19:15 ბოულინგი. PGA Tour. სეზონის შემაჯამებელი ტურნირი. აშშ
20:30 "ჩქაროსნული სამყარო"
21:00 "ჰოკეის საღამო"
21:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ
01:15 ახალი ამბები
01:30 "ჩქაროსნული სამყარო"
02:00 "ჰოკეის საღამო"
02:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
03:00 03:00-დან 05:55-მდე შესვენება
05:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
12:00 ჩოგბურთი. US Open ლეგენდები
13:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი აშშ
14:00 ცხენოსნობა. კონკური ვალკენსვაარდში
15:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
15:15 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
15:45 მძლეოსნობა. გრან-პრი დიდ ბრიტანეთში
17:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
18:00 ფეხბურთი. ევრო-2004
19:00 ფეხბურთი. ევრო-2004
20:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა თასი ჰოლანდიაში
21:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
21:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
22:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
23:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
00:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი
02:00 მძლეოსნობა. პარიზი 2003. პრემიერის წინ
02:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
02:45 ახალი ამბები
03:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
03:15 ჩოგბურთი. ამერიკის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
04:15 ახალი ამბები
04:30 04:30-დან 11:30-მდე შესვენება
05:00 ახალი ამბები

*ჩოგბურთი*

# თქვენ რა ზომის გაქვთ, გეთაყვა?

პაატა თოთაძე



*ჩოგნებს დამოკლებას უპირებენ*

წარმოიდგინეთ, რომ ცოტა ხანში შეიძლება დადგეს ისეთი დღე, როცა ჩოგბურთს მხოლოდ გიგანტები და ფიზიკურად ძლიერი ადამიანები ითამაშებენ. თამაშის ბედი კი, ძირითადად, მოწოდებისას გადაწყდება. სათამაშო ტაქტიკა გამარტივდება, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სპორტის ეს სახეობა თავის ხიბლს დაკარგავს.

აშკარაა, რომ ბოლო წლებში ჩოგბურთი სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა, რამაც ყოფილ ვარსკვლავთა შეშფოთება გამოიწვია. მათი თქმით, აქცენტის გადატანა სიჩქარესა და ძალაზე თამაშს კლავს. რა შეიძლება იყოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან? ამ დღეებში მარტინა ნავრატილოვამ, ჯონ მაკინრომ, ბორის ბეკერმა და სხვა გამოჩენილმა ჩოგბურთელებმა საერთაშორისო ფედერაციაში (ITF) გაგზავნეს წერილი, რომელშიც ჩოგნის ზომების შემცირებას და მკაცრად დადგენას მოითხოვდნენ.

საქმე ისაა, რომ მაკინროი და მისი კოლეგები ჩოგბურთის დეგრადაციის მიზეზად მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროგრესს ასახელებენ. 15-20 წლის წინათ ჩოგნის მწარმოებელმა ფირმებმა დაიწყეს სულ უფრო ძლიერი ჩოგნების გამოშვება, რომელთაც დიდი თავი ჰქონდათ. ასეთი ჩოგნებით გაცილებით იოლი ხდებოდა ჩოგბურთის სწავლა და თამაში – დიდთავიანი ჩოგნებით დარტყმა უფრო ადვილი იყო. ამასთან, გაიზარდა სახელურის ზომაც, რამაც დარტყმის სიძლიერე და სიჩქარე 20-30%-ით გაზარდა. ასეთი დატვირთვისთვის რომ გაეძლოთ, სპორტსმენები იძულებულნი გახდნენ, ფიზიკურად უკეთ მომზადებულიყვნენ.

"პატარა ტანის ჩოგბურთელი, რომლის ტექნიკურ არსენალშიც გაცილებით მეტი იარაღია, ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას. ამიტომ დღეს ჩოგბურთი დიდი ზომის ხალხის სპორტი გახდა, რომელთათვისაც მხოლოდ მოწოდების სიძლიერესა და სიჩქარეს აქვს მნიშვნელობა. ჩვენ დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო და, მერწმუნეთ, იმდროინდელი ჩოგბურთი გაცილებით უკეთესი საყურებელი იყო", - განაცხადა ბორის ბეკერმა.

"თქვენ გგონიათ, დღევანდელ ჩოგბურთელთა დიდმა ნაწილმა იცის ჩოგბურთის თამაში? მათ მოწოდების მეტი არაფერი იციან და, მგონი, ისიც არ იციან კარგად. სად ნახავთ დღეს შემტევი სტილის ჩოგბურთელებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ ბეკერი, კეში, ედბერგი, ნასტასე. დღეს კორტზე დგას ორი გიგანტი, რომლებიც მონოტონურად ათამაშებენ ბურთს კორტის სიღრმიდან და მხოლოდ დარტყმის სიძლიერესა და სისწრაფეზე არიან დამოკიდებულნი. კაცებში შეიძლება კიდევ იპოვო ვინმე შემოქმედი, მაგრამ ქალებში ასეთები საერთოდ არ დარჩნენ", - ეს ჯონ მაკინროის აზრია. მისივე თქმით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ყოველი ტურნირის წინ თითოეულ ჩოგბურთელს ჩოგნები უნდა შეუმოწმონ, რათა ის დადგენილ ზომაზე დიდი არ აღმოჩნდეს, რაც ასეთ შემთხვევაში გარკვეულ უპირატესობას მისცემს.

მეტრების აზრით, ჩოგნის თავის სიგანე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 9 დუიმზე მეტი, მაშინ როცა დღეს მისი ზომა 12,5 დუიმს აღწევს. 1913 წელს შექმნილი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია ნახევარი საუკუნის განმავლობაში სრულებით არ ერეოდა ჩოგნის ზომების დადგენაში. ამის საჭიროება, უბრალოდ, არც იყო. განსხვავება, რა თქმა უნდა, იყო იმდროინდელ ჩოგნებშიც, მაგრამ ძალიან მცირე, თანაც, ყველა ხისა იყო. 70-ანი წლების დასაწყისში ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით გამოჩნდა ალუმინის ჩოგნები. სწორედ ასეთი ჩოგნით მოიგო 1974 წელს ჯიმი კონორსმა უიმბლდონი. ორი წლის შემდეგ კი პირველი დიდთავიანი ჩოგანი გამოჩნდა. იქიდან მოყოლებული, ფედერაცია თვალს ადევნებდა ტექნოლოგიური პროგრესის შედეგებს. ცოტა ხნის წინ შეიქმნა დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც ზომავს ჩოგნის დარტყმის სიძლიერეს და ადგენს მის სამუშაო მახასიათებლებს.

თამაშის "შენელების" თაობაზე სხვა მოსაზრებებიც არსებობს. მაგალითად, თავის დროზე ამერიკის ღია პირველობაზე დამატებითი რეზინის საფარი დააფინეს, როლან გაროსზე კი ბურთის ზომა შეამცირეს, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. საქმეში ჩაერთო NASA-ც, რომელიც თავის დასკვნებს წლის ბოლოსთვის წარმოადგენს.

მოკლედ, სანამ რამე დადგინდება, ყველაფერი ძველებურად იქნება. იდეა, რა თქმა უნდა, კეთილშობილურია, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ ჩოგნების მწარმოებელი ფირმები ზომების შემცირებით მილიონობით დოლარს დაკარგავენ. დიდი ზომის ჩოგნები პოპულარულია დამწყებებში. იმის გათვალისწინებით კი, რომ თითოეული ჩოგანი, სულ ცოტა, 200 დოლარი ღირს, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ ზარალს ნახავენ ჩოგნების მწარმოებლები. ასე რომ, თუ ITF რაიმე დათმობებზე წავა, მხოლოდ ამ ფირმებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ.

*ოლიმპიზმი*

# კორეა ერთიანდება

"გადაწყვეტილი ამბავია: მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენ ერთიანი გუნდით ვიასპარეზებთ. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი ჩვენი ქვეყნებისა და ხალხის დაახლოებას ხელს შეუწყობს. ამასთან, მედლების მოპოვების შანსიც ერთიორად გვეზრდება", - ასეთი განცხადება გააკეთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, სამხრეთკორეელმა კიმ უნ ენმა. ამის თქმის საშუალება მას გუშინ თავის ჩრდილოელ კოლეგასთან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთან, ჩან ონთან შეხვედრის შემდეგ მიეცა. ეს შეხვედრა გაიმართა ტეგუში, სადაც დღეიდან უნივერსიადა აიღებს სტარტს.

კორეელების გაერთიანებას უმალ გამოეხმაურა აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტი. მართალია, ამერიკელთა ეს ნაბიჯი წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებმა კორეელებს ზოგიერთ საკითხში დახმარება აღუთქვეს, თუმცა, კერძოდ რაში და როგორი დახმარება სჭირდებათ კორეელებს, არაფერია ნათქვამი. თუკი სამხრეთკორეელები სიხარულით შეხვდნენ ოლიმპიადაზე ერთიანი გუნდით გამოსვლის ფაქტს, ჩრდილოელებმა ეს არაერთგვაროვნად აღიქვეს. იქაურმა პრესამ გამოაქვეყნა მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსნის ინტერვიუ, სადაც მათ ეჭვი შეიტანეს გადაწყვეტილების მართებულობაში.

ყველაფერთან ერთად, ორივე ქვეყნის სპორტული ჩინოვნიკები შეთანხმდნენ სამუშაო კომიტეტის შექმნაზე, რომელიც ორი ქვეყნის ტაეკვანდოისტების გაცვლით დაკავდება. კიმ უნ ენი სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის და ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტია, ჩან ონი კი - სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი. ტაეკვანდო ცოტა ხნის წინ გახდა ოლიმპიური სახეობა და კორეელებს სპორტის ამ სახეობაში ყველა გასათამაშებელი ოქროს მოპოვების იმედი აქვთ.

"მე მგონი, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა გაერთიანებაზე შევთანხმდით. ცალცალკე ჩვენ არაერთი კარგი და სახელოვანი სპორტსმენი გვყავს, რომელთაც ოლიმპიადაზე წარმატების მოპოვების შანსი აქვთ. გაერთიანებულ გუნდს კი წარმატების გაცილებით მეტი შანსი ექნება. ამასთან, ეს გაერთიანება სპორტსმენებზე ფსიქოლოგიურად დადებითად იმოქმედებს, რაც გამარჯვების კიდევ ერთი საწინდარია", - აღნიშნულია ჩან ონის განცხადებაში.

*ფორმულა 1*

# მიხაელი და ფულის ტომრები




*მიხაელ შუმახერი თავისი "ფერარით" წელიწადში 51 მილიონს გამოიმუშავებს*

"ფერარის" გერმანელი პილოტი მიხაელ შუმახერი საკუთარი ოსტატობის წყალობით არაერთ სპონსორს იზიდავს. სპონსორები კი, მოგეხსენებათ, ფულს იქ აბანდებენ, სადაც საკუთარი ფირმისა თუ ნაწარმის რეკლამა ყველაზე უკეთ წარმოჩინდება. ასეთი კი იტალიელთა საჯინიბო და მათი ჯილა მიხაელ შუმახერია. ყოველ შემთხვევაში, "ფერარი" და, შესაბამისად, იტალიური საჯინიბოს მესაჭე, ფაქტობრივად, გარანტირებული სარეკლამო საშუალებაა. ამიტომაცაა, რომ ეს უკანასკნელნი რეკლამის მსურველებს ანდამატივით იზიდავენ. და მაინც, რამდენით მდიდრდება ყოველწლიურად მიხაელ შუმახერი. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს შუმის მენეჯერის ვილი ვებერის დამსახურებაც, რომელიც საკუთარი ალღოს წყალობით გერმანელი პილოტისთვის სარფიან ხელშეკრულებებს აფორმებს.

მიხაელ შუმახერს ჰყავს როგორც პერსონალური, ისე გუნდის სპონსორებიც. საჯინიბოს სპონსორებიდან შემოსული თანხის ნაწილი მსოფლიო ჩემპიონის ანგარიშზე ჯდება. ზოგადად, ამგვარი ხელშეკრულებების მეშვეობით მარტო "ფერარისთან" დადებული კონტრაქტით შუმახერი წელიწადში 38 მილიონ ევროს იღებს, ხოლო თუ ამას პერსონალური სპონსორებიდან შემოსულ თანხასაც დავუმატებთ, რომელიც 13 მილიონ ევროს შეადგენს, გამოდის, რომ შუმის საბანკო ანგარიში ყოველწლიურად 51 მილიონით იზრდება. ახლახან შუმახერის მენეჯერმა შემორჩენილი ბოლო "სარეკლამო ადგილიც" გაყიდა – უახლოეს ორ წელიწადში მიხაელს "Sting"-ის მზის სათვალეებიდან მზერა მოუწევს. ახლა კი იმათზე, ვინც "მსოფლიოში ყველაზე სწრაფ რეკლამას" ანიჭებენ უპირატესობას.

**Sting**

ორი წლის განმავლობაში 500 ათასი ევროს სანაცვლოდ მიხაელ შუმახერი ამ ფირმის მზის სათვალეების ბოლო მოდელებს გაუწევს რეკლამას.

**Shell**

ცნობილი საწვავის კომპანია "ფერარის" საჯინიბოს 32 მილიონ ევროს უხდის, საიდანაც 1,6 მილიონი უშუალოდ შუმახერს ერიცხება. გარდა ამისა, მიხაელს შეუძლია, უსასყიდლოდ ისარგებლოს "Shell"-ის გასამართი სადგურების მომსახურებით.

**Bridgestone**

ამ ფირმას საბურავებით "ფერარის" მომარაგება 13 მილიონი ევრო უჯდება. თუმცა, საბურავების მწარმოებელ კომპანიას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მიხაელ შუმახერის სპონსორი, რადგან "Bridgestone" საკუთარი საბურავებით მრბოლის პირად ავტომანქანებს ამარაგებს.

**OMP**

მიხაელი მხოლოდ და მხოლოდ OMP-ის მარკის სარბოლო კომბინიზონებით სარგებლობს და ამის სანაცვლოდ 300 ათას ევროს იღებს. შუმის თანაგუნდელი, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, მიხაელისგან განსხვავებით, "Sabelt"-ს ენდობა.

**"Ferrari"**

38 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიხაელ შუმახერი "ფერარის" საჯინიბოს ღირსებას იცავს, მონაწილეობს ტესტირებებში და გუნდის ათასგვარ სარეკლამო აქციაში.

**Vodafone**

ეს ფირმა "ფერარის" ანგარიშზე გადარიცხავს 43 მილიონ ევროს, საიდანაც 3 მილიონი მიხაელის საკუთრებაა.

**DVAG**

DVAG – ეს არის შუმახერის მთავარი გენერალური სპონსორი, რომელიც გერმანელ პილოტს ყოველწლიურად 2,6 მილიონ ევროს უხდის. სანაცვლოდ ეს ლოგოტიპი მრბოლის კეპს ამშვენებს.

**Marlboro**

Marlboro "ფერარის" მთავარი სპონსორია. თამბაქოს მწარმოებელი გიგანტი ყოველწლიურად იტალიურ საჯინიბოს 86 მილიონ ევროს ურიცხავს. თანხის 60 პროცენტი მსოფლიო ჩემპიონის მომსახურებას ხმარდება.

**L'OREAL**

იმისთვის, რომ მიხაელმა L'OREAL-ის პროდუქციით, კერძოდ, თმის მოსავლელი საშუალებით ისარგებლოს, კომპანია პილოტს წელიწადში 1,4 მილიონ ევროს უხდის.

**სხვა სპონსორები:**

თვითმფრინავებისა და მოტოროლების მწარმოებელი კომპანია Piaggio შუმახერს წელიწადში 600 ათას ევროს უხდის, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავე ფირმა AMD – 200 ათასს. კომპანია RTL კი ექსკლუზიური ინტერვიუს უფლებისთვის შუმახერს ყოველწლიურად 500 ათასს ურიცხავს. აი, ფირმა Technogym კი პილოტს ფიტნეს-ცენტრით სარგებლობის საშუალებას აძლევს, ამასთან, პირდაპირ სარბოლო ეტაპების წინ.

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკი" მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისურ "ფულჰემთან" იჯარის წესით ფრანგი ფორვარდის სტივ მარლეს შეძენის თაობაზე. "ოლიმპიკს" სურს, ფეხბურთელი იჯარით ერთი წლით აიყვანოს. შეგახსენებთ, რომ შაბათს ინგლისური პრემიერლიგის პირველ ტურში მარლემ "მიდლსბროს" გოლი გაუტანა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფეხის ტრავმის გამო "ჰამბურგის" მცველი მილან ფუკალი 8 კვირას გამოტოვებს. ამ კვირის ბოლოს ჩეხ ლეგიონერს ოპერაციას გაუკეთებენ. შეგახსენებთ, რომ გერმანული ბუნდესლიგის პირველ სამ ტურში ფუკალი მინდორზე არ გამოჩენილა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი პოლ გასკოინი წლის ბოლომდე დარჩება არაბეთის გაერთიანებული საემიროების კლუბ "ალ ჯაზირას" შემადგენლობაში. 36 წლის ფეხბურთელი ითვლება ლიბერიელი ფორვარდის ჯორჯ ვეას შემცვლელად, რომელმაც არაბეთში ორწლიანი კარიერის შემდეგ კლუბი დატოვა. "მე დაინტრიგებული ვარ. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში არაერთხელ ვყოფილვარ და მიმაჩნია, რომ ეს მშვენიერი ქვეყანაა, სადაც ხალხს ძალიან უყვარს ფეხბურთი. ამასთან, ვფიქრობ, ჩემი შვილები იქ თავს კომფორტულად იგრძნობენ", - განაცხადა გასკოინმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისურმა "მიდლსბრომ" ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა. ნისლიან ალბიონზე მიემგზავრება "ვალენსიას", "ლაციოსა" და "ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი გაისკა მენდიეტა. ნახევარმცველისთვის ბრძოლაში სტივ მაკლარენის გუნდმა აჯობა მადრიდის "ატლეტიკოსა" და ბილბაოს "ატლეტიკს".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** როგორც ჩანს, რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელები მეტისმეტად ცრუმორწმუნენი არიან. უკრაინაში ამხანაგური მატჩის გასამართავად წასულმა გუნდმა თვითმფრინავში არ შეუშვა ფოტოგრაფი ქალი გაბრიელა არსენიე, მაშინ, როცა მისმა კოლეგამ დეცებალ რადულესკუმ უპრობლემოდ დაიკავა თვითმფრინავში კუთვნილი ადგილი. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს საქმე ცრუმორწმუნეობის გამო კი არ ჩაიდინეს, არამედ იმიტომ, რომ თვითმფრინავში ადგილი არ იყო. თუმცა, არსენიე, რომელიც დონეცკში დამოუკიდებლად ჩავიდა, ამ განმარტებამ არ დააკმაყოფილა.

■ ■ ■

**კრივი.** პირველად მსოფლიო ტელევიზიაში... ამერიკაში იქმნება 24-საათიანი სატელევიზიო არხი, რომელიც მხოლოდ პროფესიული კრივის ორთაბრძოლებს აჩვენებს. სატელევიზიო არხი 2004 წელს გავა ეთერში. მისი დამაარსებელი იქნება ცნობილი ამერიკელი პრომოუტერი დონ კინგი. ვარაუდობენ, რომ ეთერით გადაიცემა როგორც საარქივო ჩანაწერები, ისე პირდაპირი რეპორტაჟები ბრძოლებიდან, რომლებსაც დონ კინგი გაუწევს ორგანიზებას. პრომოუტერს ახალი წამოწყების სირთულეები არ აშინებს. "მე სატელევიზიო არხის ორგანიზებას ისევე მოვახერხებ, როგორც ჩემს ბრძოლებს", - ამბობს დონ კინგი.

■ ■ ■

**კრივი.** ცნობილი მოკრივე ჯეიმს ტონი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს კალიფორნიის შტატის გუბერნატორის არჩევნებში. ამის შესახებ იტყობინება ორშაბათს გამოცემული პრეს-რელიზი. არჩევნები 7 ოქტომბერს გაიმართება, ანუ ევანდერ ჰოლიფილდთან მისი ბრძოლის მესამე დღეს. ახალი ცნობების თანახმად, ტონიმ უკვე დაიწყო კამპანია ხელმოწერების შესაგროვებლად. "მე მოვიგებ დებატებს, რადგან სხვა კანდიდატებს არ მივცემ უფლებას, ჩემს სიტყვას წინაღობა შეუქმნან", - ამბობს ტონი, - თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი გაგება ძნელია, მაშინ შვარცენეგერს მოუსმინეთ".

■ ■ ■

**ტანვარჯიში.** ჩინეთის ვაჟთა ნაკრებმა (171,996 ქულა) სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები მოიგო. ვერცხლის მედლები ამერიკელმა ტანმოვარჯიშეებმა მოიპოვეს (171,121), ხოლო ბრინჯაოს პრიზი იაპონიის ნაკრებს ერგო (170,708).

■ ■ ■

**ჰოკეი.** ლეგენდარული მარიო ლემიე ყინულს დაუბრუნდა. "პიტსბურგ პინგვინზის" 37 წლის კაპიტანი და მფლობელი მიიჩნევს, რომ ამჟამად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე შარშან ამ დროს. "მე მგონია, რომ მარიო ახლა უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მთელი მისი სპორტული კარიერის განმავლობაში, - განაცხადა ლემიეს ყოფილმა პერსონალურმა მწვრთნელმა ტომ პლასკომ. "პინგვინზის" ფორვარდი სტივ მაკენა და რუსი ალექსეი მოროზოვი ლემიესთან ერთად გუნდში ტრიოს შექმნიან.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია კიდევ ერთი ქვეყნით გამდიდრდება. აღმოსავლეთ ტიმორი მზად არის, ამ ორგანიზაციის 211-ე წევრი გახდეს. აშკარაა, რომ ამ ქვეყნის მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებას არავითარი პროტესტი არ მოყვება. მიუხედავად ამისა, უცნობია, იქნება თუ არა ტიმორის დელეგაცია პარიზის მსოფლიო ჩემპიონატზე.

შოუბიზნესი

## შანია თვეინი სამოგზაუროდ მიდის



შანია თვეინი სამწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო ტურნეში მიდის. სასტარტო თარიღი 25 სექტემბერია, ფინიში კი დეკემბრის შუა რიცხვებში შედგება. თვეინი 18 ამერიკულ ქალაქს მოივლის, მათ შორის, ნიუ იორკს, დეტროიტს, ვაშინგტონს, სენტ პოლსა და ბოსტონს. კონცერტები გაიმართება მრავალ კანადურ ქალაქშიც. "მინდა თითოეული ჩემი შოუ უზარმაზარ დისკოდ იქცეს. სცენასაც ისე მოაწყობენ, რომ ფანების შუაგულში აღმოვჩნდე და ყველა კარგად დავინახო. ასე ყოველთვის უფრო გულითადი სიტუაცია იქმნება ხოლმე. ბევრი ჩანაფიქრი მაქვს და მგონი, ტურნე სიურპრიზებით სავსეც გამოვა," - ჰპირდება ის თაყვანისმცემლებს. შანიას ტურნეს, მართლაც, ბევრი ელის სულმოუთქმელად. მან ხომ უკვე გაყიდა ახალი ალბომის UP!-ის 9 მილიონი ასლი.

## ლეგალიზებული "სტოუნზი"



"როლინგ სტოუნზმა" გადაწყვიტა, ციფრულ პროგრესს აუწყოს ფეხი, რისთვისაც უკვე გააფორმა ხელშეკრულება რამდენიმე ინტერნეტ-საიტთან და ნება მისცა ფანებს, სიმღერები ინტერნეტიდან კანონიერად გადატვირთონ. ონლაინ მუსიკალური ქსელი Rhapsody, ონლაინ მაღაზია Best Buy და ვებ-საიტი Listen.com ოფიციალურად გაჰყიდიან ჯგუფის 500-მდე ჩანაწერს.

ეს მთელმა ინტერნეტ-საზოგადოებამ გრანდიოზულ ახალ ამბად აღიქვა. როდესაც უმნიშვნელოვანესი როკ-ჯგუფი ამგვარ ნაბიჯს დგამს, ეს კანონიერი ციფრული მუსიკალური მომსახურების დამკვიდრებას უწყობს ხელს – დაახლოებით ასეთია მათი რეაქცია. "როლინგ სტოუნზის" ალბომები თითოთითო ბილიკად გაიყიდება და საკუთარ კომპიუტერში მათი ჩატვირთვა ყველას გულმშვიდად შეეძლება. Rhapsody "როლინგ სტოუნზის" გარდა 350 ათასამდე მუსიკალურ ჩანაწერს ჰყიდის. აქ შეხვდებით ყველაფერს უკიდურესი კლასიკიდან უკიდურეს მოდერნამდე.

## საფრანგეთი ფესტივალისთვის ემზადება



ნორმანდიის ლამაზ საკურორტო ქალაქ დოვილში საერთაშორისო კინო-ფესტივალი 5 სექტემბერს დაიწყება. ვარსკვლავ-სტუმრად ფრანგებს ჰოლივუდელი ჰარისონ ფორდი ეყოლებათ, ჟიურის კი რომან პოლანსკი უხელმძღვანელებს. წელს ორგანიზატორები დოკუმენტური ფილმებისთვის ახალ კონკურსს გამართავენ. მასში მონაწილეობას რამდენიმე ცნობილი რეჟისორი მიიღებს, ახალი და საინტერესო ნამუშევრებით. მათ შორის იქნება: ოლივერ სტოუნის "პერსონა ნონ გრატა" – ფილმი იასირ არაფატის შესახებ და ჯონათან დემის ("კრავთა დუმილის" რეჟისორი) "აგრონომი" – სურათი ჰაიტელ ჟურნალისტსა და ადამიანის უფლებების ერთგულ აქტივისტზე.

დოვილის კინოფესტივალის მთავარი პრიზისთვის კი ათი მხატვრული ფილმი იბრძოლებს. 15-იოდე სურათს, მათ შორის, ვუდი ალენის Anything Else-ს კი, კონკურსგარე აჩვენებენ. დოვილში სხვა ჰოლივუდელ ვარსკვლავებსაც ელიან. ორგანიზატორების თქმით, ფრანგულ წითელ ხალიჩაზე ჯონ კიუზეკი, ედვარდ ბარნსი, შარლიზ თერონი, რიდლი სკოტი და ჯესიკა ლანჟი ჩაივლიან. რომან პოლანსკის კი ჟიურიში გვერდს დაუმშვენებენ: ბრიტანელი მსახიობი ბენ კინგსლი, გერმანელი ნასტასია კინსკი, ფრანგების ახალი ვარსკვლავი, ფილმ "აუზის" მთავარი გმირი ლუდვი სანიე და ასევე კლაუდია კარდინალე.

# მიტოვებული სოფლის სიმფონია

### დღეს გია ყანჩელის მუსიკა ბრიტანეთში აჟღერდება

თამარ სუხიშვილი



გია ყანჩელი

ბესო გულაშვილის ფოტო

1943 წლამდე იმბერში - უილტშირის ერთ-ერთ დასახლებაში ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა. მაგრამ ერთ დღეს მოსახლეობას (აქ რამდენიმე ასეული ადამიანი ცხოვრობდა) სახლ-კარის მიტოვება უბრძანეს. ბრძანება სამხედროებმა გასცეს. ამ გადაწყვეტილებამ სოფლის მცხოვრებლებს თავზარი დასცა. ისინი აიძულეს აყრილიყვნენ იმ მიწიდან, სადაც მათი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ. იმბერი სელისბერი ფლეინის დასავლეთით მდებარეობს, იმ ადგილას, სადაც ჯარები სამხედრო წვრთნას გადიოდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს იმბერი სამხედრო მანევრების ობიექტად გადაიქცა. ამერიკელებს ტერიტორია ესაჭიროებოდათ და იმბერის ბედი სხვა სოფლებმაც გაიზიარეს. ასეა საჭირო მეკავშირეთა გამარჯვებისათვის, - განმარტავდნენ სამხედროები. გასახლებულ ბრიტანელებს კი ანუგეშებდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ ისინი თავისუფლად შეძლებდნენ წინაპართა მიწაზე დაბრუნებას... ომი დასრულდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა: ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღიაო, - ასე ამშვიდებდნენ იმბერიდან წასულებს. სოფლის მაცხოვრებელთა ერთი ნაწილი შორეულ მხარეში გადასახლდა, ზოგი ოჯახი კი ახლომახლო დაბინავდა იმ იმედით, რომ მალე დაუბრუნდებოდა მშობლიურ კარ-მიდამოს. ასე გრძელდებოდა 50-იანი წლების მიწურულამდე, სანამ სახალხო პროტესტებმა ოფიციალურ უწყებამდე არ მიაღწია. მაგრამ ეს საკითხი სამხედრო პოლიგონის სასარგებლოდ გადაწყდა. ამასობაში დასახლების დიდი ნაწილი განადგურდა, ხოლო იმბერში დაბრუნება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. ასეთია იმბერის სევდიანი ისტორია...

დღეს იმბერში მხოლოდ ეკლესია და რამდენიმე ნაგებობაა გადარჩენილი. თუმცა, ნგრევა, გარკვეულწილად, ამ შენობებსაც შეეხო. ამ ტერიტორიაზე თითქმის აღარ ჩანს ადამიანის საცხოვრისის კვალი. სამხედროებმა "ლეგოს" ტიპის სახლები ააშენეს, ფაქტობრივად, ეს კარკასებია, რომელთაც ფანჯრისა და კარის ჭრილი აქვთ დატოვებული. სახლები სოფლის ძველი ვიწრო ბილიკის გასწვრივაა განლაგებული. სახლების მწკრივი ქვეითი ჯარების საომარი მოქმედებებისათვის სტრატეგიულ დანიშნულებას ატარებს. დღესდღეობით მიტოვებული სოფელი შემზარავი სანახავია. ვერავინ იფიქრებს, რომ აქ ოდესმე ადამიანი ცხოვრობდა.

წელიწადში ერთხელ, სექტემბრის პირველ შაბათს, იმბერის ყოფილ მაცხოვრებლებს ნება ეძლევათ დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს, ისინი მოინახულებენ წინაპართა საფლავებს, მერე იქაურ წმინდა გაილსის ეკლესიაში მესაზე იკრიბებიან. ეს ეკლესია სელისბერი ფლეინის ერთადერთი შენობაა, რომელიც სამხედროების საკუთრება არ არის. ეკლესიის სახურავი თითქმის მთლიანად მორღვეულია. თუმცა, მასში დაცული XIV საუკუნის უნიკალური ფრესკების წყალობით ამასწინათ ეს ძეგლი ინგლისური მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა №1 დასაცავ ნაგებობათა ნუსხაში შეიტანა.




პლაკატი იმბერის მუსიკალური საღამოსთვის

21-23 აგვისტოს იმბერსა და მის შემოგარენში გია ყანჩელის მუსიკა აჟღერდება. ერთ-ერთი კონცერტი სწორედ დღეისათვის არის დაგეგმილი. კომპანია "არტანგელმა", რომელიც ხელოვნებისა და კულტურულ პროექტებს ახორციელებს, ქართველ კომპოზიტორს სთხოვა, შეექმნა ნაწარმოები, რომელიც ბრიტანეთის მიტოვებულ დასახლებას მიეძღვნებოდა. გია ყანჩელი დაკარგული სოფლის ისტორიით დაინტერესდა, კომპოზიტორმა ისიც გაიხსენა, რომ თბილისის მახლობლადაც არის ასეთი ადგილი უნიკალური სამონასტრო კომპლექსით. გულწრფელი რომანტიკოსი გია ყანჩელი (ასე მოიხსენიეს ის ერთ-ერთ ბრიტანულ სტატიაში) ძალიან გაიტაცა იმბერის ისტორიამ. ყანჩელის ნაწარმოები ხსოვნის, დაკარგვის, მიტოვების სიმფონიაა. იმბერის ისტორიას ბრიტანეთში კარგად იცნობენ, პერიოდულად ეს სახელი პრესის ფურცლებზეც გაიელვებს ხოლმე. ამიტომაც ამ სანახაობაზე დასწრების მსურველი ბევრია, ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია, ბილეთის ფასია 15 ფუნტი სტერლინგი.

გია ყანჩელის კომპოზიციას ბრიტანეთის კამერული ორკესტრი შეასრულებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი "რუსთავი", სელისბერის საკათედრო ტაძრის ვაჟთა გუნდის რამდენიმე მომღერალი, დირიჟორია ნიკა მემანიშვილი, ყანჩელის თანამემამულე, რომელიც მასთან დიდი ხანია თანამშრომლობს (ასე გვაცნობს ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსს ბრიტანული პრესა).

იმბერის სანახაობა მასშტაბურ ღონისძიებად არის ჩაფიქრებული, მისი ორგანიზატორები არიან: ზემოხსენებული "არტანგელი", არტ-დირექტორი ჯერემი ჰერბერტი და თეატრისა და ოპერის რეჟისორი ჯეიმს მაკდონალდი.

ეს სანახაობა დაახლოებით 1500 ადამიანზეა გათვლილი, მაყურებელს პატარ-პატარა ჯგუფებად შეუშვებენ სოფელში, მსვლელობა საღამოს რვის ნახევრიდან დაიწყება. ვიზიტორებს საშუალება მიეცემათ, გაისეირნონ სოფელში, სადაც სხვადასხვა მუსიკალური სიურპრიზი ელოდებათ. სხვათა შორის, ორგანიზატორები მაყურებელს ურჩევენ, სასიარულოდ მოსახერხებელი ფეხსაცმელი ჩაიცვან, რადგან წინ დიდი გზა აქვთ. იმბერის მუსიკალური ინტერვენციის ფინალი შებინდებისას ელის მნახველს, ისინი ერთ ძველ ნაგებობაში შეიკრიბებიან და იმბერის ისტორიიდან საარქივო მასალას ნახავენ. როცა დაბნელდება, სპეციალური განათების ფონზე გუნდი აუდიტორიას სანთლებიანი პროცესიით გაუძღვება მთის მწვერვალისაკენ, სადაც წმინდა გაილსის ეკლესიაში ყანჩელის კომპოზიცია შესრულდება. ორგანიზატორების პროგნოზით ეს კომპოზიცია მცირე ხნით გამოაცოცხლებს მთელ სოფელს...

იმბერის წლევანდელ სანახაობაზე ფილმსაც გადაიღებენ. ეს მოვლენა ცენტრალური ნაწილი იქნება იმ კინოსურათისა, რომელსაც "არტანგელ-მედიასთვის" იღებს რეჟისორი მარკ კაიდელი. ფილმს BBC-სა და CTVC-ს დაკვეთით იღებენ. ეკრანებზე ის 2004 წლისთვის გამოვა.

# ფესტივალი, რომელსაც ციური სხეულები გაანათებს

### ქართველები ტორონტოში

თამარ ბაბუაძე

როდესაც ჩრდილოამერიკულ ქალაქებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ, ჩაბნელდა ტორონტოც. სანთლის შუქის იძულებითი ეგზოტიკით იქაც, როგორც ნიუ იორკში რამდენიმე დღით დატკბნენ...

ახლა თანდათან ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება და ტორონტოს კინოფესტივალის ორგანიზატორებიც ირწმუნებიან, რომ სექტემბრის პირველი რიცხვებისთვის დაგეგმილ ათდღიან შოუს უწყვეტი ენერგომომარაგება ექნება. თუმცა, თუ ფესტივალზე უშუქობის ეგზოტიკა მაინც განმეორდა, ტორონტოელები კინოთეატრს სანთლების მაგივრად ცოცხალი ვარსკვლავებით "გაანათებენ". კინოჩვენებებზე ხომ თავს მრავალი სახელგანთქმული ხელოვანი მოიყრის. კანადაში ჩაფრინდება ფრენსის ფორდ კოპოლა, იზაბელა როსელინი, კეიტ ბლანშეტი, ომარ შარიფი, ენტონი ჰოპკინსი, ტიმ რობინსი, შონ პენი, დენზელ ვაშინგტონი, ნიკოლ კიდმანი, მეგ რაიანი... დაგეგმილია სპეციალური მინიპროგრამაც, რომლის დროსაც ნაჩვენებ თითოეულ ფილმს თავად რეჟისორები განიხილავენ. მაგალითად, კოპოლა პირადად დაესწრება თავისი 1982 წლის ფილმის One from the Heart-ის ჩვენებას და დისკუსიაშიც მიიღებს მონაწილეობას, რიდლი სკოტი თავის Alien-ზე ისაუბრებს და მაყურებელს ფილმიდან ამოჭრილ, დღემდე უცნობ კადრებს უჩვენებს, აკირა კუროსავას Ikiru-ს გერმანელი რეჟისორი მარგარეტ ფონ ტროტა წარადგენს, რობერტ ალტმანის "ნეშვილს" კი – გერი ბერნსი. იმავე პროგრამაში რეჟისორი ჯეინ კემპიონიც მიიღებს მონაწილეობას. ის ნიკოლას როეგის BAD TIMING-ს განიხილავს (არტ გარფანკელისა და ტერეზა რასელის მონაწილეობით). როგორც თავადაც მიხვდებოდით, ეს მინიპროგრამა მოიცავს მხოლოდ კინოკლასიკას, რომლის შესახებაც დიდი ხელოვანების აზრის მოსმენა განსაკუთრებით საინტერესო იქნება დამწყები რეჟისორებისთვის.



მეგ რაიანი ტორონტოს ერთ-ერთი ვარსკვლავია

ფესტივალის დირექტორის, პიერ ჰენდლინის აზრით კი ამდენი ვარსკვლავის სტუმრობა იმას ნიშნავს, რომ ტორონტოს პრესტიჟულობას კინოინდუსტრიაში უკვე ყველა აღიარებს. თუ ელექტროენერგია არა, დარბაზებს "ცოცხალი ვარსკვლავები მაინც გაანათებენ", - ხუმრობს ჰენდლინი.

ტორონტო თავისი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება კანსა და ბერლინს, მაგრამ დიდად არც ჩამორჩება მათ. ამაზე წლევანდელი სტატისტიკაც მეტყველებს: 336 ფილმი, 64 მსოფლიო პრემიერა, 55 მონაწილე ქვეყანა... ტორონტოს ეკონომიკას არც ფესტივალის გარეშე უჭირს, მაგრამ მისი წყალობით მაინც საგრძნობ მოგებას ელის. თანაც, "სარსის" ვირუსისა და ენერგოკრიზისის შემდეგ კინოტურიზმიდან შესული ფული ქალაქის ბიუჯეტს, მართლაც, არ აწყენს. ერთი სიტყვით, ორგანიზატორები სტუმრებს მაღალი დონის შოუს ჰპირდებიან და თან ის ამბიციაც არ ასვენებთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ტორონტო კანის საფეხურამდე უთუოდ ამაღლდება.

სანამ სამომავლო გეგმები და ოცნებები ასრულდება, ორგანიზატორები მონდომებით ქმნიან აწმყოს და ფესტივალის ფორმატს სულ უფრო ამრავალფეროვნებენ. წელს ათდღიან შოუში 16 დამოუკიდებელი პროგრამა შედის. რამდენიმე კანადურ რეტროსპექტივასთან ერთად, ცალკე ჩვენებებია დაგეგმილი აფრიკის კონტინენტზე, თანამედროვე მსოფლიო კინოზე, ცალკეულ რეჟისორებსა და კინოს ოსტატებზე, ახალ აღმოჩენებსა და დოკუმენტურ კინოსურათებზე... მაყურებლის მიზიდვის მიზნით პროგრამებს სახალისო სახელებიც ჰქვიათ. მაგალითად, ერთ-ერთს ასეც მოიხსენიებენ: "შუაღამის სიგიჟე". ცნობილი რეჟისორების გვარები კი თექვსმეტივე პროგრამას საინტერესოს ხდის. ვახსენეთ 64 პრემიერაც, მათ შორის ოთხი "ოსტატების" პროგრამის ფარგლებში იგეგმება. ჩრდილო ამერიკის მასშტაბით სწორედ ტორონტოში უჩვენებენ პირველად მიხაილ ჰანეკეს LE TEMPS DU LOUP-ს, იზაბელ იუპერის მონაწილეობით.

თუ მაისის ბოლოს დასრულებული კანის კინოფესტივალი ქართულმა პრესამ ისე გააშუქა, რომ ფესტივალის პროგრამაში ერთი ქართული სახელიც არ შეხვედრია, 4 სექტემბრიდან ყურადღება მაქსიმალურად უნდა დაძაბოს. ტორონტოში, "თანამედროვე მსოფლიო კინოს" პროგრამის ფარგლებში, ჩვენთვის ორ ძალზე მნიშვნელოვან ფილმს უჩვენებენ. პირველის ავტორი ფრანგი ჟული ბერტუჩელია და მის სურათში მოქმედება თბილისში ხდება. ეს პროექტი ქართულმა პრესამ ჯერ კიდევ გადაღებების მიმდინარეობის დროს გააშუქა. მეორე ფილმის Gun-shy-ს რეჟისორი კი დიტო ცინცაძეა. ის ამჟამად ევროპაში მოღვაწეობს და მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატია, სახელი კი გაითქვა ფილმებით "ზღვარზე" და "უიღბლო მკვლელები".

ასე რომ, წინ ორმაგად საინტერესო სანახაობა გველის – დიდი რეჟისორებით, საინტერესო ნამუშევრებითა და მსოფლიო პრემიერებით გაჯერებულ ფესტივალზე ხომ ქართული თემატიკაც გახმიანდება. ჩვენებები 16 სექტემბერს დასრულდება. დასკვნით საღამოს მაყურებელი დენი დეკჩეარის ავსტრალიურ ნამუშევარს იხილავს, რომელშიც მთავარი გმირის ცხოვრება ჰელიუმის ბურთით ცაში მოგზაურობის შემდეგ რადიკალურად იცვლება.

## "თაფლობის თვე და ერთი კათხა ლუდი"



ლუდი - დაბალი პროცენტულობის ალკოჰოლური სასმელი, რომელიც განსაკუთრებით სასიამოვნოა ზაფხულის ცხელ დღეებში, არც მეტი და არც ნაკლები წარმოების 8 ათასი წლის ისტორიას ითვლის. ჩეხური, გერმანული... დღეს უკვე ლამის მთელი მსოფლიოა ამ სასმელის მწარმოებელი, არჩევანი დიდია. ლუდს კი როგორც ყველა სასმელს თავისი ისტორია აქვს. რაც არ უნდა ძნელი წარმოსადგენი იყოს, 4 ათასი წლის წინათ ბაბილონში ერთი უცნაური წესი არსებობდა: ქორწილის შემდეგ, საპატარძლოს მამა ვალდებული იყო სიძე 1 თვის მანძილზე მოემარაგებინა თაფლიანი ლუდით (დიახ, თაფლიანი ლუდით). სამაგიეროდ სწორედ აქედან წამოსულა ცნება "თაფლობის თვე".

ყველაზე ძველი ლუდის მწარმოებელი ქარხანა 1040 წლით თარიღდება და მიუნხენთან ახლოს მდებარეობს. ხოლო 1516 წლიდან, ბავარიაში საბოლოოდ დამკვიდრდა კანონი, სადაც მკაცრად იყო განსაზღვრული ინგრედიენტთა რაოდენობა სასმელში, რომელიც ოთხი ძირითადი კომპონენტისგან შედგებოდა.

ის თუ იცოდით რომ ლუდში ვიტამინებია? და მისი ზომიერი გამოყენება ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. PP, B1 და B2 - სწორედ ეს ვიტამინები აღმოაჩინეს ლუდის შემადგენლობაში. იგი ხელს უწყობს ორგანიზმიდან კანცეროგენულ ნივთიერებათა გამოყოფას, რაც კიბოს დაავადების გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია. და ერთი საინტერესო რჩევა: სიცხეში საუკეთესო გამაგრილებელი საშუალებაა, აავსოთ აბაზანა თბილი წყლით, და დაუმატოთ ერთი ბოთლი ლუდი, რის შემდეგ თავს სულ სხვა ადამიანად იგრძნობთ.

## "ბითლზის" დღეები დაიწყო



კლუბი "კავერნი"

დღეს, 21 აგვისტოს ლივერპულში "ბითლზის" საერთაშორისო კვირეული გაიხსნა. ღონისძიებები მთელი ქალაქის მასშტაბითაა დაგეგმილი, თუმცა, ბუნებრივია, მთავარ როლში მაინც მსოფლიოში სახელგანთქმული კლუბი "ქავერნია". ჯგუფის თაყვანისმცემლებს მთელი კვირის განმავლობაში უმასპინძლებენ ექსკურსია-მძღოლები და მოატარებენ ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს. გაიმართება კონცერტები, რომლებშიც 50-მდე ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის იქნებიან: "რინგერი", "ფებ ფექსი", ჰარი ჯორჯსონი, ტონი შერიდანი და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი – "ბუთლეგ ბითლზი".

ეს ფესტივალი 1983 წლიდან შეუფერხებლად იმართება და ყოველ ჯერზე სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს.

წელს "ბითლზის" კვირეული ადგილობრივ ღონისძიებას "მეთიუ სტრიტ ფესტივალს" ემთხვევა, რის გამოც ქალაქი ორმაგად გადაიტვირთება. "ბითლზის" თემატიკის გარდა ლივერპულში განსხვავებული სახის შოუებიც გაიმართება ექვს, სპეციალურად ფესტივალისთვის აღმართულ სცენაზე.

## კეიტ მოსი ახალ ამპლუაში



კეიტ მოსი კონცერტისთვის ემზადება

1 სექტემბერს გაიმართება პრემიერა, რომელიც ერთნაირად დააინტერესებს, როგორც ჯგუფ White Stripes-ის, ისე სუპერ-მოდელ კეიტ მოსის თაყვანისმცემლებს. ანუ, ჯგუფის ახალ სინგლში ბრიტანელი მოდელი მიიღებს მონაწილეობას. ვიდეო შესანიშნავი გამოვიდა. ამაზე, თურმე, რეჟისორმა, ფრენსის ფორდ კოპოლას ქალიშვილმა, სოფია კოპოლამ იზრუნა. სწორედ მას მოუვიდა იდეა, რომ კეიტს კლიპში White Stripes-ის ჰანგებზე პოლკა ეცეკვა.

ეს მოსისთვის მუსიკალური დებიუტი სულაც არ გახლავთ. აქამდე ის Primal Scream-ის ვიდეოებში ჩნდებოდა. ჯგუფთან ერთად ის გლასტონბერის ფესტივალსაც ესწრებოდა. ახლა კეიტი სექტემბერში, ლონდონში დაგეგმილ ცნობილი ღონისძიებისთვის – Fashion Rocks-ისთვის ემზადება, რომელზეც Primal Scream-ის სიმღერას Rocks-ს შეასრულებს.

## TV პროგრამა
### 21 აგვისტო

**რუსთავი - 2**

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "განდგომილი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "შეშლილი პიერო". მთ. რ-ში: ჟან პოლ ბელმონდო, ანა კარინა.

**პირველი არხი**

**08.00** მოამბე **08.15** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველაზე საკვირველი" **09.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.25** ბენი ჰილი **09.55** ქართ. სატ. ფილმი "მე მოვედი" **11.00** დოკ.სერიალი "მოდა ყველასათვის" **11.25** პალიტრა **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "სატელევიზიო ჟურნალის ისტორია 2" **14.00** სერიალი "სასახლე მზეში" მე-4 ს. **15.15** მხ. ფილმი "ტაში ცალი ხელით" **16.45** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.00** დოკ. სერიალი "ქვეყანა ქვეყნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ბენი ჰილი **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **21.50** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.20** მხ. ფილმი "იდიოტების ალლუმი". **00.55** დოკ. სერიალი "ყველაზე ყველაზე საკვირველი".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** მულტფილმი "ანიმატრიცა" **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "სახიფათო ადამიანის აღსარება" . მთ. რ-ში დრიუ ბერიმორი, ჯულია რობერტსი, ჯორჯ კლუნი. **01.50** "ღამურა" "შიშის ძალაუფლება" მთ. როლებში დენზელ ვაშინგტონი, ანჯელინა ჯოლი **03.00** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "გზაჯვარედინები" **21.00** დიდი დასვენება **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "სიკვდილი ჰოლივუდში".

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "უძილობა" **14.00** დოკ. ფილმი "ნაციზმი **15.00** მხ.ფილმი "ქარბორბალა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "გენერალი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ყბები" **23.00** დოკ. ფილმი "ნაციზმი".

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "სასოწარკვეთის საათები" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "რექვიემი" **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.40** მხ. ფილმი "ოტელი ამერიკა" **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მუსიკა **00.05** მხ. ფილმი "პიანინო".

**მეცხრე არხი**

**09.25** მულტფილმი "ტომი და შინა" მე-12 ს. **10.00** სერიალი "ქავინქტონ კროსი" მე-5 ს. **10.20, 14.20, 15.15, 17.20, 19.50, 22.35** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.10** მხ. ფილმი "შნეხის ქვეშ" **13.50** კინოგადაცემა "ნუმერატორი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.30** სერიალი "ახალი პროფესიონალები" მე-7 ს. **16.25** დოკ. სერიალი "ეს სანახაობაა" 1 ნაწ. **17.50** სერიალი "ქავინქტონ კროსი" მე-6 ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" მე-13 ს. **19.05** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.10** სერიალი "ახალი პროფესიონალები" მე-8 ს. **22.05** დოკ. ფილმი "მოჩვენებათა თავგადასავალი" მე-3 ს. **22.25** ტელემეტრი - ყველი - ქალის თეთრეული **22.50** მოკლ. მხ. ფილმი "ექს ვოტო" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** რუს. მხ. ფილმი "კარგი საძაგელი და ცუდი საძაგელი".

**იმედი**

**09.00, 10.55, 12.00, 13.00, 13.55, 15.00, 15.55, 17.00, 17.55, 19.00, 20.55, 22.00, 02.30** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" 104-ე ს. **10.30** არტ-ბულვარი **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" მე-4 ს **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" 39-ე ს. **15.15** მხ. ფილმი "მდუმარების მიღმა" **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" 105-ე ს. **19.30** სერიალი "გოგონები ესპანეთის მოედნიდან" მე-5 ს **20.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **21.05** სერიალი "გრაფი მონტე - კრისტო" 1 ს. **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" 22-ე ს. **23.55** კინოვარსკვლავთა ღამე "მის ფეიერვერკი" მთ. როლში ტიმ რობინსი.

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00,** საინფორმაციო გამოშვება **09.10** საბავშვო ფილმი "გალგამეტი" **10.50** კომედია "ქალბატონები ირჩევენ კავალერებს" **12.10** ვესთერნი "რაზმი" **13.55** ვიდეოარტი **14.00, 17.45** მუსიკა **14.25** ფილმი-ფანტასტიკა "შტორმი" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "ტარზანი" **18.10** დოკუმენტური ფილმი **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40** ვიდეოარტი **19.45** "პირისპირ" (ავტორი ვ.კვარაცხელია) **20.30** კომედია "საოჯახო გეგმა" **22.45** "ფრთენი" (ავტორი ც.ბაუჟაძე) **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** ვიდეოარტი **01.05** ისტორიული ფილმი "დრუიდები" **03.40** დოკუმენტური ფილმი **04.10** ვიდეოარტი **04.15** კომედია "ინტენსიური თერაპია".

**VII არხი**

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** მობილურები **10.25** მელოდია **10.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **11.00** მელოდია . **11.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.10** დისნეი და მისი მეგობრები **12.45** კომპიუტერული თამაშები **12.50** მელოდია **13.00** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.15** კომპიუტერული ტექნიკა **20.50** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.15** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.35** მობილურები **22.25** "კინოკლუბი" - "სამოთხე". მელოდრამა . რეჟ: სტიუარტ გილამი. მთავარ როლში: ფობი კიტსი. **23.50** მელოდია 00.20აუდიო-ვიდეო-ტელე **01.10** ანონსი.

**ОРТ**

**07.00** "Доброе утро!" **10.00** Новости **10.15** Худ.фильм "Следы на снегу" **11.40** Сериал "Ребята из нашего города" **12.35** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.00** Новости **13.15** Комедия "Менялы" **15.00** Шоу "Город женщин" **16.00** Новости **16.15** Боевик "Репортаж" **18.00** Сериал "На углу, у Патриарших 2" **19.00** Вечерние новости **19.20** "Жизнь замечательных людей". В.Розов **19.55** Сериал "Земля любви, земля надежды" **20.55** Худ.фильм "Граница. Таежный роман" **22.00** "Время" **22.30** Сериал "Сыщик без лицензии" **23.40** "Человек и закон" с А.Пимановым **00.30** Ночное "Время" **01.00** "Крылья" **01.30** "Гении и злодеи" **02.00** Триллер "Не для моей дочери"

**РТР**

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45** Сериал "Каменская". "Смерть и немного любви". 1 серия **10.45** Худ.фильм "Большая перемена" **12.00, 15.00,18.00, 21.00,** 00.00"Вести" **12.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** Детектив "Марш Турецкого 3". "Золотой выстрел", 1 серия **14.50** "Вести. Дежурная часть" **15.10** "Местное время. Вести - Москва" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30** Сериал "Семейные тайны" **17.30** "Вести. Дежурная часть" **17.40** "Местное время. Вести - Москва" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** Сериал "Комиссар Рекс" **21.30** "Местное время. Вести - Москва" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55** Сериал "Каменская". "Смерть и немного любви"., 2 серия **23.00** Детектив "Марш Турецкого 3". "Золотой выстрел", 2 серия **00.20** "Пражский излом". Фильм 2. "Операция "Влтава" **01.15** "Вести. Дежурная часть" **01.35** Боевик "Поезд смерти" **03.25** "Синемания" **03.55** "Дорожный патруль" **04.10** Сериал "От Земли до Луны" **05.10** Мелодрама "Голливудские жены"

**НТВ**

**07.00** "Утро на НТВ" **09.45** Золотой фонд НТВ. "Намедни-99" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Растительная жизнь". С.Дружинина **12.05** "Кулинарный поединок" **13.00** "Сегодня" с К.Поздняковым **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.45** "Криминал" **16.00** "Сегодня" с К.Поздняковым **16.35** Ток-шоу "Принцип домино". "Дайте жалобную книгу" **18.00** "Сегодня" с К.Поздняковым **18.25** Сериал "Скорая помощь 3" **19.25** "Очная ставка". "Клад-убийца" **20.00** "Сегодня" с М.Осокиным **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей". "Честное пионерское" **21.45** Сериал "Крот", 12 серия **23.00** "Страна и мир" **23.35** Сериал "Клан Сопрано", 27 серия **00.40** Сериал "Улицы разбитых фонарей" **01.50** "Сегодня" **02.15** "Гордон" **03.00** Сериал "Солдаты удачи"

# ძალიან მაგარი გოგო ესტელა უორენი

*არაჩვეულებრივი გოგოა: ლამაზი, ჭკვიანი, სექსუალური. 24 წლის კანადელ ესტელა უორენს "ჰოლივუდის ყველაზე აღმგზნებ სახედ" იხსენიებენ ხოლმე.*



ესტელა უორენი ფორმაშია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრ ბატონებს ხშირად ათასგვარ უბედურებას სწამებენ ხოლმე: დაბერდნენ, ცხოვრებას ჩამორჩნენ, ჩუმ-ჩუმად ქრთამსაც იღებენო... მაგრამ ერთი რამის გამო ნამდვილად უნდა ვიყოთ მათი მადლობელი: 1996 წელს, ატლანტაში გამართული ოლიმპიური თამაშების დროს პროგრამაში სინქრონული მოცურავეების წყვილი რომ არ შეეყვანათ, მსოფლიო ესტელა უორენს ვერ იხილავდა. ახლა კი ის ცნობილი ადამიანია, მოდელი და მსახიობი, ვნებიანი ტუჩებითა და საოცნებო სხეულით, "მაიმუნების პლანეტისა" თუ Driven-ის გმირი. მისი გამოსახულება "მაქსის" გარეკანს ამშვენებს, ის "შანელის გოგონადაა" ცნობილი.

ესტელა უორენის დახასიათებისას ჟურნალმა "მაქსმა" მისი დიდების განმაპირობებელი რვა მიზეზი დაასახელა:

1. ესტელა ერთობ დისციპლინირებული ბრძანდება. თორმეტი წლისა იყო, როცა ტორონტოში მოცურავეთა ინტერნატში ამოჰყო თავი, საკმაოდ უცნაური მიზეზის გამო: მისი უფროსი და, ჯულია, სინქრონულმა ცურვამ გაიტაცა, ესტელას კი უნდოდა, მასზე უკეთესი ყოფილიყო და, შესაბამისად, ოქროს მედალი მოეპოვებინა. ამ იდეით შეპყრობილი გოგონა ყოველდღიურად ექვს-ექვსი საათი ვარჯიშობდა, მართალია, სახლი ენატრებოდა და ღამ-ღამობით ტიროდა ხოლმე, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, რომ სამგზის გახდა კანადის ჩემპიონი, ეროვნული ნაკრების წევრიც ბრძანდებოდა და ოლიმპიურ ოქროსაც გამოჰკრა ხელი. ასეთი შემართება მას არც ახლა აქვს დაკარგული: "ვერაფრით ვერ ვხვდები, როგორ აძლევს ჩემი მრავალი მსახიობი კოლეგა თავს იმის ნებას, რომ კასტინგზე სრულიად მოუმზადებელი გამოცხადდეს. ჰოლივუდშიც ბევრი მუშაობაა საჭირო".

2. მშვენიერი მოცურავე ძალიან გულწრფელი ქალბატონი ბრძანდება. მას სულ არ ერიდება, რომ კარგად გამოიყურება და აღიარებს, რომ მრავალი როლი სწორედ თავისი გარეგნობის გამო მიიღო: "რატომაც არა? ეს ჩემი შანსია და ჩემზეა დამოკიდებული, რამდენად მოვახერხებ მის გამოყენებას".

3. ისე, გარეგნობას ნამდვილად არ უჩივის. 16 წლის ესტელამ (88-60-88) სკოლაში მოდების ჩვენებაში მოინდომა მონაწილეობის მიღება, მაგრამ "დაითარსა" – ვარჯიში გაუგრძელდა, დაიგვიანა და სველი თმითა და ცხვირზე სათვალის კვალით აქანდა პოდიუმზე. მიუხედავად ამისა, არავის დაუწუნებია: მისი ფოტოსურათი ნიუ იორკში, ფოტოაგენტის მაგიდაზე აღმოჩნდა. აგენტმა გოგონა გადაღებებზე დაპატიჟა ("გზის ფულს ჩვენ გადაგიხდით, არ იდარდო!) და ფოტოგრაფ ელენ ფონ უნვერტს შეახვედრა – სწორედ მან გადაუღო სურათები იტალიური "ვოგის" გარეკანისთვის. ამას პერი ელისის პლაკატების კამპანია მოჰყვა. ერთი ისაა, რომ ქუჩაში ესტელას გამოსახულებების ჩამოხსნა მოუწიათ – საგზაო შემთხვევები მეტისმეტად გახშირდაო...

4. ისე, ესტელა უორენს ისეთი პირი აქვს, რა გასაკვირია, რომ ვილაცას საჭე გაექცა! იფიცება, ხელი არ მიხლია, ყოველთვის ასეთი მქონდაო, და დასტურად ყველას თავის ბავშვობის ფოტოებს აჩვენებს ხოლმე. ჩანს, მართლა ასეთი პირი ჰქონია, ექიმის ნაწვალებს ნამდვილად არა ჰგავს.

5. ისევე, როგორც ლეგენდარული კოკო შანელი, ესტელაც თვლის, რომ მისი ბედნიერი რიცხვი ხუთიანია. მართლაც ასეა: სარეკლამო ფილმის, "შანელ №5"-ის შემდეგ "მეხუთე ელემენტის" რეჟისორმა, ლუკ ბესონმა, ჰოლივუდში მიიწვია და იქ ესტელამ ორ წელიწადში ხუთ ფილმში მიიღო მონაწილეობა. ამჟამად მან მოდელობას თავი დაანება, მხოლოდ "შანელთან" თანამშრომლობს და ხუთ წელიწადზე მეტია "შანელის გოგონად" რჩება.

6. "ჩვენს გოგონას ყოველთვის ყველაფრის ნებას ვრთავდით," იხსენებს ესტელას მამა, დონი. "ის ადრე წავიდა სახლიდან, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვერდში ვედექით. ჩვენი იმედები არასოდეს გაუცრუებია. საოცნებო ბავშვი იყო, თვინიერი და ყოველთვის ყველაფერს გვიზიარებდა".

7. მიუხედავად იმისა, რომ ერთობ აქტიური ადამიანია, ჩვენი გმირის წყენინება და გულის გატეხვა საკმაოდ იოლი საქმე ყოფილა. Driven-ის რეჟისორი, რენი ჰარლინი მოჰყვა, რომ გადაღებების დროს ესტელას უნდა ეტირა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა. მაშინ რეჟისორს ყვირილი დაუწყია: "ფუჭი ადამიანი ხარ! შენგან არაფერი გამოვა! არაფერში ვარგიხარ!" და ესტელას ისეთი ტირილი ამოუშვია, რომ ამ სცენის მაყურებელსაც ცრემლი ადგება თვალზე.

8. რაც ყველაზე უცნაურია, ყველაფერ ამის ფონზე ესტელამ ზუსტად იცის, რომ უბრალოდ გაუმართლა, და რომ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს. მოკლედ, ნორმალურ ადამიანად დარჩა. სხვათა შორის, ბევრს ეწევა, წითელი ღვინოც უყვარს და თევზაობაც, მაგრამ მაინც მთელი ჰოლივუდი თვლის, ესტელა ისეთი გოგოა, მის ცოლად მოყვანაზე ყველამ უნდა იოცნებოსო.







MBG ბანკი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:
მოლარე
მოთხოვნები:
- არანაკლებ ერთი წლის მუშაობის გამოცდილება იგივე თანამდებობაზე
- მშობლიური ენა ქართული, რუსული ენის თავისუფალი ცოდნა
- რეკომენდაციები წინა სამუშაო ადგილებიდან
- ასაკი 35 წლამდე

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
- განცხადება;
- რეზიუმე (CV) ერთი ფოტოსურათით;
- დიპლომის და სხვა სერთიფიკატების ასლები;
- სარეკომენდაციო წერილების ასლები

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№74ა, VII სართ. 380062, თბილისი
საბუთების მიღება წარმოებს 30 აგვისტომდე




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.